# ლელო

№ 28
(11 177)
11 – 14 აპრილი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**ნომერშია:**

◆ დავით ყიფიანი მიდის...



◆ „ფეხბურთის ჩემპიონთა კლუბი“ და მისი პირველი წევრები

◆ ქართველი ქურდი მეტსახელად „ზვერი“ იური სევიდოვს ზონაში პატრონობდა

◆ სპორტული სამყაროს სხვა ამბები

◆ კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

◆ კონტინენტური თამაშების ჩატარების მადა ევროპასაც გაეხსნა

◆ ვინ, ვინ იყო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებში — ფრანგები!

**ნომერშია:**

ბატუტი ● «გრან-პრის» თასი

## ანა დოლონაძეს მემკვიდრე გამოუჩნდა – თეონა ტყებუჩავა

ეს ასპარეზობა ქ. აახენში (გერმანია) გაიმართა და მასში გამოცდილ ანა დოლონაძესთან ერთად მონაწილეობდა 10 წლის თეონა ტყებუჩავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თეონა 4 წლით უფროსებს ეპაექრებოდა, მის მიერ XX ადგილი დიდ სპორტში დებიუტანტისთვის ურიგოდ არ უნდა ჩავთვალოთ.

რაც შეეხება ანა დოლონაძეს, იგი კვლავ ბრწყინავდა მსოფლიო თანავარსკვლავედში. ინდივიდუალური პროგრამით ანამ ძალზე შთამბეჭდავად იასპარეზა 101,60 ქულა მოაგროვა და პირველობა არავის დაუთმო, მეორე ადგილზე გავიდა სლოვენიელი კატარინა პროკესოვა (97,10), მესამე იყო შვეიცარიელი ოტო კორნელი (95,30).

სახელმწიფო ხაზინა — ქართული სპორტის მესაფლავე **მხოლოდ ფაქტები**

## რუსუდან ხოფერია კი შინ ცრემლმორეული იჯდა

ჩვენი სახელოვანი ბატუტზე მხტომელი რუსუდან ხოფერია, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია უბრწყინვალესი სპორტული წარმატებები სპორტის ამ სახეობაში თვით მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლით, „გრან-პრის“ თასის გათამაშებაში (გერმანია) უსახსრობის გამო ვერ გაემგზავრა. ასე სცილდებიან მათდა უნებლიედ მსოფლიო დონის სპორტსმენები ქართულ სპორტს, ასე იყრება წყალში უმდიდრესი გამოცდილება, აგურ-აგურ ნაგები სპორტული ოსტატობა. რუსუდანი ნამდვილად არ იმსახურებს ასეთ უყურადღებობას. „ლელოს“ რედაქციაში დღესაც ინახება ქვითრები, რომელიც ამ სახელოვანმა სპორტსმენმა წარმოგვიდგინა, როცა რამდენიმე წლის წინათ, ქვეყნის დასახმარებლად სოლიდური თანხა შეიტანა. დღეს კი სახელმწიფომ მას მსოფლიო არენაზე თავის გამოჩენისა და სამშობლოს სახელოვნად წარმოჩენის შესაძლებლობა ვერ მისცა – ხაზინა არათუ ამ წლის, ძველ ვალებსაც არ ისტუმრებს და უნდა თუ არა ეს, ქართული სპორტის მესაფლავე ხდება.

აქვე დავძენთ, რომ ანა დოლონაძე და თეონა ტყებუჩავა საკუთარი ფულით გაემგზავრნენ შეჯიბრებაზე გერმანიაში.

პირველი ჯგუფი ● XXII ტური

## ულიმღამო მატჩის თავური ფინალი

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) — თსუ (თბილისი) 1–0**

*ვიტ-ჯორჯია:* ჯანელიძე, ილურიძე, მაისურაძე, ჰოხონელიძე, ბურდული, დვალიშვილი, რუხაძე (ქუთათელაძე, 75), დოლიძე (ნადირაძე, 53), ნოზაძე, ჰუმბურიძე, გოჩაშვილი.
*თსუ:* დოლიძე, ყოლბაია, გუჯაბიძე (როსტიაშვილი, 68), კობიაშვილი, ხარებავა (ქორიძე, 79), შალამბერიძე, კვიტატიანი, სვანაძე (გემეზაშვილი, 43), რუხია, მელქაძე, მაზიაშვილი.
*გოლი:* ქორიძე (87)
*მსაჯი:* თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

გუშინ „შევარდენზე“ დიდი ვერაფერი ბურთაობა ვიხილეთ. „ვიტ-ჯორჯია“ პირველ ნახევარში მეტოქეზე ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა, შედარებით გააზრებულად მოქმედებდა და სახიფათო შეტევებიც განახორციელა, მაგრამ ნოზაძემ და ჰუმბურიძემ ბოლო მომენტში ფხა ვერ გამოიჩინეს. რამდენიმეჯერ გოჩაშვილსაც შეეძლო მეკარის კარის დალაშქვრა, აქტიურობდა რუხაძეც. მეორე ნახევარში კი თამაში გათანაბრდა, სტუდენტთა გუნდს მეტი მობილურობა დაეტყო, თუმცა მთლიანობაში მატჩი კვლავ უინტერესოდ მიმდინარეობდა და მხოლოდ ორადორმა ეპიზოდმა გამოაფხიზლა ტრიბუნებზე მყოფნი. ნოზაძემ შეტევის მარცხენა ფლანგზე სამ მეტოქეს აუარა გვერდი და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ გოჩაშვილსაც ზუსტად გადააწოდა, მაგრამ მასპინძელთ ფორვარდმა ყველაფერ ამას ულაზ... თო დამთავრება მოუძებნა — ბურთი კარის მიმართულებით დარტყმაც ვე... მოახერხა. მეორე საინტერესო ეპიზოდი კი გოლით დასრულდა. გემეზაშვილმა ბოლომდე და წარმატებითაც ი... რძოლა მარცხენა ფლანგზე, საჯარიმოში რუსიას მისამართით ჩაჰკიდა, ამ... კი „მეორე სართულზე“ ყველას აჯო... ბა, ჯანელიძის კართან დაახლოებით სა... მეტრში მყოფ ქორიძეს თავური პა... მიართვა, რომელსაც შეცვლაზე შემო... სული ასევე თავით გამოეხმაურა ... ოთარ გაბელიას ბიჭებმაც სამი ქულ... მიითვალეს.

დათო თავართქილაძე

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### რაგბი ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა

## ჩვენებმა ისევ იმარჯვეს

მორიგი სასიამოვნო ცნობა შევიტყვეთ ტულუზიდან — გერმანელების ძლევის შემდეგ მეორე ჯგუფში მოასპარეზე ჩვენმა ჭაბუკებმა ნახევარფინალური მატჩიც მოიგეს.

ამჯერად მეტოქე — ჩეხები ანგარიშით 21:6 შემუსრეს. კვლავ თავი გამოიჩინეს ურჯუკაშვილმა, პავლიაშვილმა და მოდებაძემ.

ამრიგად, საქართველოს ნაკრები ჯგუფის ფინალში გავიდა, სადაც დღეს მისი მეტოქე პორტუგალიის ძლიერი გუნდი იქნება.

„ბუმათე“ — „ლელო“

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 20 | 17 | 2 | 1 | 57-7 | 48 |
| დინამო (ბთ.) | 21 | 13 | 5 | 3 | 47-14 | 44 |
| კოლხეთი-1913 | 21 | 13 | 3 | 5 | 42-18 | 42 |
| ოდიში | 20 | 13 | 2 | 5 | 33-25 | 41 |
| ტორპედო | 21 | 11 | 6 | 4 | 35-19 | 39 |
| თსუ | 22 | 10 | 6 | 6 | 28-15 | 36 |
| მერანი-91 | 21 | 9 | 6 | 7 | 25-26 | 27 |
| ლოკომოტივი | 21 | 7 | 6 | 8 | 22-28 | 27 |
| ვიტ-ჯორჯია | 22 | 6 | 7 | 9 | 20-25 | 25 |
| დილა | 21 | 7 | 3 | 10 | 18-27 | 24 |
| სიონი | 21 | 7 | 6 | 8 | 32-27 | 22 |
| რუსთავი | 20 | 7 | 0 | 13 | 19-33 | 21 |
| სამგურალი | 21 | 5 | 4 | 12 | 20-43 | 19 |
| გურია | 21 | 3 | 7 | 11 | 20-42 | 16 |
| მადაროელი | 20 | 3 | 3 | 14 | 17-48 | 12 |
| მარგვეთი | 21 | 1 | 5 | 15 | 13-50 | 8 |

*შენიშვნა: „დინამოს“ (თბ.), „მერანს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა*

**ტურის დანარჩენი მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება.** განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისისა და ბათუმის დინამოელების მატჩი, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 16 საათზე დაიწყება.

### ბომბარდირები

**ლევან ხომერიკი (დინამო. თბილისი) — 15**

**პაატა მაჭუტაძე (დინამო. ბათუმი) — 14**

**დავით მუჯირი (დინამო. თბილისი) — 13**

**გია მეგრელაძე (ტორპედო) — 11**

**ჯუმბერ კალანდაძე (ოდიში) — 11**

### ინფორმაციები, რომლებიც „ლელოს“ 1998 წლის საპირველაპრილო ნომერში ვერ დაიბეჭდა (გაგრძელება)

● **ერთმა** ქართველმა ბიზნესმენმა 725 ათასი დოლარი გადასცა საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას ნაკრები გუნდისათვის. ბიზნესმენმა ვინაობის გამხელა არ ისურვა. მისი გვარი და სახელი მხოლოდ ლევან მოსეშვილისთვისაა ცნობილი.

● **30 თებერვალს** გორში საცურაო აუზის მეორედ დაბადება იზეიმეს. ცურვისა და წყალბურთის ჯგუფები უკვე შეუდგნენ მუშაობას. სოფლებიდან ბავშვები ავტობუსებით მიჰყავთ აუზზე, მათმა რიცხვმა 980-ს მიაღწია. ივლისსა და აგვისტოში აქ საქართველოს მოცურავეთა და წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდები ჩაატარებენ საწვრთნელ შეკრებას მსოფლიო ჩემპიონატის წინ. გუნდებს შეფობას ქალაქის მერია გაუწევს.

● **დიდ დილომში** დასასრულს უახლოვდება ველოსპორტის უნიკალური ტრასის მშენებლობა. შემკვეთისა და სამუშაოთა შემსრულებლის დავა ფინანსებასთან დაკავშირებით, მორიგებით დამთავრდა — ხელოვნურად გაბერილ ხარჯთაღრიცხვიდან „მოსატეხ“ თანხას თანაბრად გაიყოფენ.

● **მარტის** ბოლოს, მცხეთის უძველეს სანიჩბოსნო ბაზაზე კეთილმოწყობის სამუშაოები დამთავრდა. გერმანიიდან საჩუქრად გამოგზავნილ 62 საუკეთესო ნავს ამ დღეებში მოელიან ფოთის ნავსადგურში.

### მილოცვა

საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 65 წლის იუბილეს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს სასტენდო სროლაში ***ლეონიდ სიმონიანს.***

## გადამწყვეტი მომენტი ანუ FAIR PLAY ჩვენებურად

ბოლოდროინდელი მოვლენები ისე ვითარდება, რომ ქართულ ფეხბურთში დღეს მართლაც გადამწყვეტი მომენტი დგება. მაინც რას წარმოადგენს ეს ერთი მხრივ ყბადაღებული გადამწყვეტი მომენტი? მხოლოდ სფფ-ს 24 ივლისის მორიგ ყრილობას?. რა თქმა უნდა, არა. ყრილობა ხომ უბრალოდ, იურიდიული პროცედურაა და ძალთა თანაფარდობის ფიქსატორი. ყრილობაზე მტყუან-მართალის გარჩევა ვერ მოხდება და ზნეობრივ-მორალური ღირებულებების განსაზღვრის მხრივაც ვერაფერი შვილია ეგ ჩვენი ყრილობა. ფეხბურთის განვითარებას და წინსვლას საქართველოში კი მხოლოდ სიმართლე, სიწმინდე და საქმისადმი ბოლომდე თავდადება, ერთგულება განაპირობებს. აი, ამისთვის უნდა ილვწოდეს ყველა — **მოხელე, მწვრთნელი, ფეხბურთელი, გულშემატკივარი თუ ჟურნალისტი.** მაგრამ ხდება კი ასე?

ზოგმა გადამწყვეტ მომენტად ის მიიჩნია, რომ ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების შემდეგ სფფ-ს ახალი პრეზიდენტების ჩხრეკასა და გამოცნობას მიჰყო ხელი (თანაც ისე, რომ ამ ღვაწლმოსილი კაცის ორმოციც არ იყო გასული(!). საქმისადმი ასეთი მიდგომა დიდად ნამდვილად არ წაგვადგება — პიროვნების როლი ფეხბურთშიც უმთავრესია, მაგრამ რა საზოგადოებიდან უნდა აღმოცენდეს პიროვნება? იმ საზოგადოებიდან, რომლისთვისაც ბევრი უკიდურესად მნიშვნელოვანი მომენტი თუ ფაქტორი ინდეფერენტულია? თუ ხალხიდან, რომლებსაც ქართული ფეხბურთის სადავეები უპყრია, მაგრამ FAIR PLAY (სამართლიანი თამაში)-ის და ქველმოქმედებას ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებს? FAIR Play მარტო ფეხბურთელებს არ ეხება, ის ეხება ყველას, ვინც ფეხბურთში მუშაობს, FAIR Play მხოლოდ სამართლიანი თამაში არაა, FAIR Play-ის ათი მცნება სახელმძღვანელო კოდექსი უნდა იყოს ფეხბურთში მოღვაწეობაზე პრეტენზიის მქონე ყველა პირისთვის.

### მოხელე

სფფ-ს აღმასკომის 25 დეკემბრის სხდომას დღემდე არავითარი ემფაზა არ მოჰყოლია (თუ არ ჩავთვლით დ. ყიფიანის საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციას). იმდენად გულგრილები გავხდით, რომ ეროვნული ნაკრებიდან მთავარი მწვრთნელის ჩამოშორებას, რასაც ვერავითარი არგუმენტაცია ვერ მოუძებნა სფფ-მ, მშვიდად, ინდეფერენტულად შევხვდით. ასევე ინდეფერენტულად შევხვდით ახალი მწვრთნელის დანიშვნასაც. არადა, ეს ხომ მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ ფეხბურთში. განა სფფ-მ არ უნდა მოახდინოს იმ არგუმენტაციის ფორმულირება, რის გამოც ერთი მწვრთნელი გაუშვა, და მეორე მოიყვანა? განა საზოგადოება არ არის ღირსი, რომ ამის შესახებ ოფიციალური ახსნა-განმარტება მიიღოს? მაგრამ მოხელე სწორედ ამ საზოგადოების პირმშოა და არ გაუჭირდება თავისი რომ გაიტანოს. მოხელეს საქმიანობის კრედოდ ჩვენი საერთო დღევანდელი ყოფა გაუხდია — განუკითხაობა.

იხ. მე-3 გვ.

## „2 X 45“-ზე, ანუ ორი საფეხბურთო ტაიმი - ასე ჰქვია ამ სიახლეს

ბარათის წინა მხარეზე მოხაზულია ორი განსხვავებული ზომის რგოლი ციფრებით და ცენტრში მატჩის ანგარიშის ჩასაწერი კვადრატით. უკანა მხარეზე მოცემულია კითხვები, რომლებიც განმარტავენ ბარათის წინა მხარეს აღნიშნული ციფრების შინაარსს. წინა მხარის შიდა რგოლში (1-6) ყოველთვის გადაიხაზება მხოლოდ ერთი ციფრი, მეორე რგოლში (7-12) – არაუმეტეს ორისა. მატჩის საბოლოო შედეგი აღინიშნება შიდა რგოლის ცენტრის კვადრატში. თუ თქვენ გამოიცნობთ მატჩის საბოლოო ანგარიშს, ამასთან, ორივე რგოლში ზუსტად გადახაზავთ თითო ციფრს, მოიგებთ 25 ლარს, ხოლო თუ მატჩის საბოლოო ანგარიში, პირველ რგოლში შემოხაზული ერთი, ხოლო მეორე რგოლში ორი ციფრი გაგიმართლებთ, მიიღებთ – 50 ლარს. შევსებული ბარათი იჭრება ორ ნაწილად: ერთი ნაწილი უნდა ჩააბაროთ გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ (კოსტავას, 14) გაზეთების გამავრცელებელს, ან მოიტანოთ უშუალოდ „ლელოს“ რედაქციაში 13 აპრილის 17 საათამდე. ბარათის მეორე ნაწილს თქვენ დაიტოვებთ და წარმოადგენთ მოგების შემთხვევაში. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება „ლელოს“ 18 აპრილის ნომერში.

*შენიშვნა: ბარათის წინა და უკანა მხარეს უნდა შემოიხაზოს ერთი და იგივე ციფრები.*

„სპარტაკი“ (მოსკ.) – „ინტერი“ (მილ.)
14.IV.98წ.




გვარი, სახელი, მამის სახელი:

„სპარტაკი“ (მოსკ.) – „ინტერი“ (მილ.)
14.IV.98წ.




გვარი, სახელი, მამის სახელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპა აქტიურობს

**აპრილის დასაწყისში ბრატისლავაში გაიმართა ევროპის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ მდივანთა ტრადიციული ყოველწლიური სემინარი. რიგით მე-19 ფორუმში საქართველოდან მონაწილეობდა სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.**

– სემინარს ეოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი და გენერალური მდივანი მარიო პასკანტე (იგი აგრეთვე იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია) წარმართავდნენ. მონაწილეობდნენ ევროპის 46 ქვეყნის წარმომადგენლები მონაკოსა და მალტის გარდა – თქვა ბატონმა ემზარმა. განიხილეს ევროპაში ბოლო ერთი წლის მანძილზე ოლიმპიური სპორტის მდგომარეობის საკითხები. მოისმინეს ნაგანოში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ექსპერტთა მოსაზრება, რომლის ჩატარების ორგანიზაციული მხარე დადებითად შეფასდა.



ემზარ ზენაიშვილი

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინფორმაციებმა და ანგარიშებმა, რომლებითაც შეკრებილთა წინაშე წარდგნენ სიდნეი-2000-ისა და სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის (2002წ.) თამაშების ორგანიზატორები. ითქვა, რომ მომავალი თამაშების ორგანიზაციაში ევროპის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, რადგან ბოლო ოლიმპიადაზე მედლების 72 პროცენტი ევროპელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ამასთან, საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციებმა და სოკ-მა ფაქტობრივად დაამთავრეს სიდნეის თამაშების საკვალიფიკაციო სისტემის შედგენა (სპორტსმენთა ლიცენზირება), რაც, ცხადია, ჩვენს ფედერაციებსაც დააინტერესებს. სპორტის 28 ოლიმპიური სახეობიდან ლიცენზირების პირობები უკვე გარკვეულია 23 სახეობაში. დარჩენილ 5 სახეობაში, მათ შორის ფეხბურთში, საკითხი 2-3 თვეში გაირკვევა. ფორუმზე საუბარი შეეხო ზაფხულის ოლიმპიადებზე საფეხბურთო ტურნირის ეროვნული ნაკრებების დონეზე გამართვასაც. აღინიშნა, რომ ოლიმპიადაზე ფეხბურთი ერთადერთი სახეობაა, სადაც მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები არ მონაწილეობენ.

მოისმინეს მოსკოვის ჭაბუკთა მსოფლიო თამაშების მესვეურთა ინფორმაცია. ეს თამაშები პირველად ტარდება სპორტის 15 სახეობაში, სტარტზე კი 6 ათასზე მეტი სპორტსმენი გამოვა ხუთივე კონტინენტის 140-ზე მეტი ქვეყნიდან.

სემინარზე ისაუბრეს აგრეთვე კონტინენტზე ოლიმპიური სპორტის განვითარების შესახებ. ბოლოს და ბოლოს, ფაქტიურად მიღებულია პრინციპული გადაწყვეტილება, რომ სხვა კონტინენტების მსგავსად დაიწყოს სრულიად ევროპული თამაშების ჩატარება. დაგვიანების მიზეზად „ბებერი კონტინენტის" გადატვირთულ სპორტულ ცხოვრებას მიიჩნევდნენ. ახლა ამ თამაშების ჩატარებას წინ ვერაფერი დაუდგება. სავარაუდო თარიღად კი 2002 ან 2006 წელს მიიჩნევენ. ჩემი აზრით, პირველ კონტინენტურ თამაშებს ალბათ რომი უმასპინძლებს – თქვა დასასრულს ბატონმა ემზარმა.

**კახა ბერიძე**

## ჭადრაკი. საქართველოს პირველობა

მეორე წრეში გიორგი ბაღათუროვმა მოუგო ალექსანდრე მაკარაშვილს, დიდოსტატმა გენადი ზაიჩიკმა — რუსუდან გოლეთიანს, დიდოსტატმა გიორგი ყაჭეიშვილმა ჯაბულ მახარაძეს, დიდოსტატი თამაზ გიორგაძე არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა სოფიკო ტყეშელაშვილთან, დიდოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ მოუგო დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძეს, ხვიჩა სუპატაშვილმა — ნატო ეძგვერაძეს, დავით ლობჟანიძემ დამატებითი პარტიების შემდეგ — დიდოსტატ მაია ლომინეიშვილს, სანდრო დგებუაძემ — კახა შალამბერიძეს, დავით შენგელიამ — თამაზ ტაბატაძეს, მიხეილ მჭედლიშვილმა — აკაკი იაშვილს, ალექსანდრე ყაშაშვილმა — რომან სიჭინავას და გიორგი ბახტაძემ — დიდოსტატ ნინო ხურციძეს.

პირველი ეტაპის მესამე წრეში ბაღათუროვმა დაამარცხა ტყეშელაშვილი, დანარჩენი შეხვედრები: ზაიჩიკი — შენგელია, მჭედლიშვილი — ყაჭეიშვილი, ჯანჯღავა — ყაშაშვილი, ბახტაძე — სუპატაშვილი, ლობჟანიძე — დგებუაძე დამთავრდა ყაიმით. დღეს გაიმართება მეოთხე წრის შეხვედრები.

**ნაზი მაისაშვილი**

## ბორის პაიჭაძის ქუჩა თბილისში

ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა — მისი სახელი ეწოდა დიღმის მასივში „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე მისასვლელ მთავარ ქუჩას. ლამაზად გაფორმებული, შთამბეჭდავი აბრა უკვე გაჩნდა ამ ქუჩაზე.

| ბოლო გოლი მოჰყვა: | საფეხბურთო სიტუაციები: |
|---|---|
| 1. კუთხურს; | 7. ბურთი მოხვდება კარის ძელს 3-ჯერ და მეტად; |
| 2. ჯარიმას; | 8. ვერ გამოიყენებენ პენალტს; |
| 3. უშუალოდ სათამაშო სიტუაციას; | 9. შეცვლიან 3 და მეტ ფეხბურთელს; |
| 4. პენალტს; | 10. გაფრთხილება 2-ჯერ და მეტჯერ; |
| 5. გავა ავტოგოლი; | 11. მინდვრიდან გაძევება; |
| 6. გოლი არ გავა; | 12. შეცვლიან თუ არა ბურთს თამაშის დროს. |

# დავით ყიფიანი: „მივდივარ, რათა აღარასოდეს დავბრუნდე"



მაშ ასე, ქართულ ფეხბურთს კიდევ ერთი ავტორიტეტი ტოვებს – მურთაზ ხურცილავას, გივი ნოდიას, რევაზ ძოძუაშვილის შემდეგ ეს დავით ყიფიანია. 16 წლის წინათ, ყიფიანმა, როცა მოულოდნელად საფეხბურთო კარიერა დაასრულა, რუსმა სპორტულმა ტელეკომენტატორმა ვლადიმერ პერეტურინმა თქვა: „დავით, შენს წინაშე ყველანი დამნაშავენი ვართ, ყველას უნდა გვეთხოვა, რომ ფეხბურთში დარჩენილიყავი, ვინაიდან მას ძალიან ალამაზებდი".

47 წლის დავით ყიფიანმა „ლელოს" კორესპონდენტს განუცხადა: „დინამოში" მწვრთნელად სამჯერ მოვედი, ახლა კი მივდივარ, რათა აღარასოდეს დავბრუნდე. მაყურებლებისაგან დედის გინებას ვერასოდეს შევეგუები... რა დააშავა „დინამომ" – განა მისი ბრალია, რომ აშკარად ყველას სჯობს? იგი დღეს მარტოა დარჩენილი, უგულშემატკივრებოდ. რას ელოდება მაყურებელი – „დინამოს" წარუმატებლობას? ეს ჩემს ხელში არ მოხდება".

როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში თბილისში „დინამოს" კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ჩამოვა და სწორედ მაშინ საბოლოოდ განიხილავენ ყიფიანის დარჩენა-არდარჩენის საკითხს.

***«ლელოს» ვარაუდი.*** *ვაანალიზებთ რა შექმნილ ვითარებას და სფფ-ს ახალი არჩევნების წინ გავლენიან ძალთა დაბალანსების შესაძლებლობებს, თუ დავით ყიფიანი „დინამოდან" წავა, მას, ალბათ, მურთაზ ხურცილავა შეცვლის, რასაც ჩვენი რედაქცია მიესალმება.*

## ევროპამდე უკრაინასაც ვეთამაშებით, ოღონდ, სტუმრად

ქართველი გულშემატკივარი ისევ გაწბილებული დარჩა: 1996-ში ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად ოთხი ამხანაგური მატჩი გამართა — კვიპროსთან, რუმინეთთან, საბერძნეთთან და ნორვეგიასთან. სფფ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებს მოელაპარაკა, რომ მათი გუნდები საპასუხო ვიზიტით საქართველოში 1998 წელს ჩამოვლენ. სამწუხაროდ, ყველამ პირი გატეხა და ახლა ევრო-2000-თვის ჩვენებს სპარინგ-პარტნიორებად მხოლოდ ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიღა შერჩა — რუსებსა და აზერბაიჯანელებს ბოლო მომენტში უკრაინელებიც შეემატნენ, ოღონდ, მატჩი კიევში გაიმართება.

მაშ ასე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩების ზუსტი განრიგი ასეთია: 30 მაისს რუსებს ვმასპინძლობთ, 12 აგვისტოს განჯას მივემგზავრებით, ხოლო 19 აგვისტოს უკრაინელებს ვეთამაშებით.

## სპორტული ბაზები. • ყოფნა, არყოფნა?..

### აუზს მეპატრონეებმაც ვერ უშველეს

ვაკის დახურული საცურაო აუზი ხომ გახსოვთ რა მოდაში იყო. მერე დაიწყო არეულობა და ეს სპორტული ბაზაც დადუმდა, ახალი სიცოცხლე კი ვერა და ვერ დაიწყო. 1993 წლიდან აუზში წყალი არ ჩასხმულა, დარბაზში კი „ხმელეთზე წყალში ხტომას" შეუპოვრად ასწავლის თავის შეგირდებს ალექსანდრე ბართაია და მისი ვაჟიშვილი.

სააქციო საზოგადოება „დელფინმა" 1995 წელს ეს აუზი შეისყიდა, დაიწყო კეთილმოწყობა — აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ ახალმა პრობლემამ იჩინა თავი — შეწყდა გაზის მიწოდება. ძველი საქვაბე, ცხადია, გაუქმდა, ახალი, ავტონომიური საქვაბე დაამონტაჟეს აქციონერებმა, მაგრამ რად გინდა... მოკლედ, სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეს ერთ-ერთი უპირველესი სპორტული ბაზა ისევე ფუჭად დგას, როგორც სხვა მრავალი საქართველოში. საქმეს ვერც გააქციონერებამ და ვერც დედაქალაქის პრესტიჟული უბნის თუ ბაზის ადრინდელმა საკუთარმა იმიჯმა უშველა. ქვეყანა დაწყნარდა, ყველა ჭკვიანდება, აუზში კი წყალს მაინც არ ასხამენ...

**გალაქტიონ ბრეგაძე**

## ციტატა

„სპარტაკის" სახელგანთქმული მეკარე რინატ დასაევი ესპანეთიდან მოსკოვში დაბრუნდა ხანგრძლივი განშორების შემდეგ. „კომსომოლსკაია პრავდამ" იგი ტელეფონით გაასაუბრა მკითხველებს.

• ***გამოგიტყდებით, წარმოშობით საქართველოდან ვარ, დოვლათი მქვია. მინდა გკითხოთ: თქვენი გამოსათხოვარი მატჩი თუ გაიმართება, ალექსანდრე ჩივაძეს მოიწვევთ?***

— აუცილებლად.

• ***არ ისურვებდით, რომ ტელეკომენტატორი კოტე მახარაძე ყოფილიყო?***

— ეს ძალიან კარგი იქნებოდა.

## 2002-ში იაპონიას სამხრეთ კორეა, ალბათ, ვერ შეეხიდება

**სენსაციური** ამბავი შეატყობინა ქვეყნის მოსახლეობას სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა: 2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატისათვის 10 ახალი სტადიონის აშენებას, ალბათ, ვერ მოვასწრებთო. გამოდის, რომ ასეთ შემთხვევაში მონდიალს ერთპიროვნულად იაპონია უმასპინძლებს.

## წერილი სისხლით დაწერა

**რუმინეთის** ნაკრების დიდმა გულშემატკივარმა, კერძო დეტექტივმა კონსტანტინ ტალპეუმ, საკუთარი სისხლით დაწერილი წერილი გაუგზავნა გამაგრილებელი სასმელების კომპანიას, რომელმაც მოაწყო კონკურსი და მთავარ პრიზად მსოფლიო ჩემპიონატის საგზური გამოაცხადა.

– ფეხბურთი მთელი ჩემი ცხოვრებაა. ჩვენ ფეხბურთი გვკლავს და მკვდრეთით აღგვადგენს კიდეც.

როგორც ტალპეუ წერს, მან გაიმარჯვა კიდევაც კონკურსში და საგზურიც უნდა მიელო, თუმცა მისი შედეგები რატომღაც არ შეჯამებულა.

## „გრანდ" – მეტოქესთან შეხვედრა სასარგებლოა!

როგორც კიევის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, მას ახლა ტურინის „იუვენტუსი" ევროპაში ყველაზე უფრო ძლიერ კლუბად მიაჩნია..

– ეს დასკვნა დღეს და გუშინ როდი გამოვიტანე. „იუვენტუსის" მოთამაშეების უმრავლესობას დიდებული ინდივიდუალური ოსტატობა აქვს. ამის გამო იყო, რომ დაგვამარცხეს.

როცა ლობანოვსკის ჰკითხეს, იტალიელებთან მარცხი იმან ხომ არ გამოიწვია, რომ მცველი ლუჟნი არა ჰყავდა, მან ასე უპასუხა:

– ერთ ფეხბურთელს არ შეუძლია გუნდის თამაშის განსაზღვრა.

როგორც მწვრთნელმა განაცხადა, ისეთ „გრანდ" მეტოქესთან შეხვედრა, როგორიც ტურინის „იუვენტუსია," ყოველთვის მეტად სასარგებლოა.

# ზონაში მას ქურდი ჰფარველობდა, მეტსახელად „ზვერი"

**60-იანი წლების დასაწყისში იური სევიდოვს ათასგვარი ეპითეტით ამკობდნენ: „საბჭოური ფეხბურთის მომავალი", „ვუნდერკინდი", „არაჩვეულებრივი ტალანტი", „ამომავალი ვარსკვლავი"... ზონიდან რომ გამოვიდა, მუქი სათვალის ტარება დაიწყო. იურის ყველაზე უფრო იმის ეშინოდა, რომ არ შეეცნოთ „სწორედ ის ფეხბურთელი", რომლის დახვრეტას საბჭოთა კავშირის ოცი უთვალსაჩინოესი სწავლული მოითხოვდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მსტისლავ კელდიშის მეთაურობით.**

*— მიჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა, მათთვის თვალებში ჩახედვა. ხუთი წლის პატიმრობის შემდეგ ალბათ წელში გატეხილ კაცად დავბრუნდი. სამუშაოზე რომ უარს მეუბნებოდნენ, მოვბრუნდებოდი და ხმისამოუღებლად მივდიოდი. ისე მეჩვენებოდა, თითქოს სწორად მექცეოდნენ, თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა...*

ამას ამბობს ის კაცი, რომელიც საბჭოთა ფეხბურთში მავთულხლართის იქით მეორე იყო ედუარდ სტრელცოვის მიყოლებით; ოღონდ პირველ „დიდ პატიმარზე" თუ ტომებია დაწერილი და მისი „საქმე" წვრილმანებამდეა შესწავლილი, სევიდოვზე შედარებით ცოტა რამაა ცნობილი. მისი დატუსაღების ამბავმა თავის დროზე მთელ ქვეყანას გადაურბინა; მას მერე ოცდაათ წელზე მეტი გავიდა. ტელეეკრანზე სევიდოვი ხშირად გაიელვებს ხოლმე, ინტერვიუს კი ერთობ იშვიათად იძლევა, თანაც ყველაფერს როდი ჰყვება:

*— შეგნებულად გავურბოდი ჟურნალისტებს. ნაწილობრივ იმიტომ, რომ სულაც არ მეამაყებოდა, რაც შემემთხვა; უფრო კი იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ძალიან მაწუხებდა და დღემდე მაწუხებს — ჩემი მიზეზით ხომ ადამიანი დაიღუპა. ასეთ რამეზე ლაპარაკი იოლი არ არის...*

ამჯერად მან გამონაკლისი გააკეთა და გადაწყვიტა დაწვრილებით გაიხსენოს ყველაფერი, რაც მაშინ მოხდა.

„სპარტაკში" სევიდოვი სულ ყმაწვილი გამოცხადდა — გრუზა ქერა, ოდნავ დახუჭუჭებული თმითა და თვალისმომჭრელი, განმაიარაღებელი ღიმილით. რამდენის იქნებოდა მაშინ? ჰო, ჩვიდმეტისა. მხიარული, მკვირცხლი, კარგი გაგებით თავის თავში დაჯერებული ჭაბუკი უმალვე მოეწონა შექებაზე ძუნწ პატრიარქ სტაროსტინს; თანაც ისე მოეწონა, რომ თითქმის გაუგონარი, საქციელი ჩაიდინა — გარისკა პირველივე მატჩში გამოეყვანა „ცხვირმოუხოცელი" ახალბედა.

*— ეს რომ გავიგონე, ყურებს არ დავუჯერე. ტარასოვკაში პირველ ღამეს მშვიდად მეძინა: დარწმუნებული ვიყავი, რომ თამაში არ მომიწევდა. თურმეტ საათზე ძირითადი შემადგენლობის შეკრებაა დანიშნული. ყველა წავიდა, მე კი ვწევარ ჩემს ოთახში, წიგნს ვკითხულობ; და უცებ შემოდის სტაროსტინი":*

იხ. მე-5 გვ.

# გადამწყვეტი მომენტი
## ანუ FAIR PLAY ჩვენებურად

(ცირველი გვერდიდან)

**გულშემატკივარი**

„ფანი" მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელსა და მწვრთნელს ქვებითა და დედის გინებით ექიშპება. ასეთ აგრესიულობას თბილისის „დინამოს" მიმართ დავით ყიფიანი შემდეგნაირად ხსნის: „შური, ღვარძლი, სიძულვილი, იმის გამო, რომ ჩვენ ძლიერები ვართ". ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის „დინამო," მართლაც გულშემატკივრების გარეშეა, რასაც ჩვენი საერთო ყოფაც განაპირობებს — ინდეფერენტულობა და ნიჰილიზმი. სამაგიეროდ, სხვა გუნდებს ჰყავთ „ღირსეული" ქომაგები. თუნდაც სამხარეო გუბერნატორი, კოლორიტული პოლიტიკოსი, რომელიც ქვების სროლას და დედის გინებას გამართლებას უძებნის. მაგრამ ამ ადამიანის პოლიტიკურ თუ კაცურ იმიჯს მაინც არავითარი ჩრდილი არ მიადგება — ჩვენ ხომ ინდეფერენტული, ობივატელური, ნიჰილისტური საზოგადოება ვართ, სადაც განმკითხავი არავინაა.

**ჟურნალისტი**

საქართველო-ინგლისის მატჩის შემდეგ ჩვენი მასმედიის ერთმა ნაწილმა თავი მთელი მშვენებით წარმოაჩინა — ზოგი დღესაც „მოძღვრავს" კოლეგებს, მაგრამ ჩვენ, „ლელოელები" ასეთ დონემდე არასდროს დავალთ, ვერავითარი ჟამთა სვლა ვერ გახდის ჭეშმარიტ სპორტულ გაზეთს ვულგარულ გამოცემად — ჩვენ ყოველთვის „ლელოელებად" დავრჩებით, ზნეობის და სიმართლის სადარაჯოზე ვიდგებით.

**მწვრთნელი**

ქართული ფეხბურთი კვალიფიციური სპეციალისტებისგან იცლება — წავიდა ნოდია, წავიდა ძოძუაშვილი, ხურცილავას გული აუცრუვდა მწვრთნელობაზე, ხოლო დიღმის ბაზაზე ჩატარებულ ბოლო ხუთშაბათობაზე დავით ყიფიანმა გვამცნო, რომ შესაძლოა მაინც თავი დაანებოს „დინამოს" და, საერთოდ, ფეხბურთს. შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე ვისლა უნდა დარჩეს ბურთი და მოედანი? დილეტანტებს? ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ (თუმცა სხვა ფაქტორების და პრობლემების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ამჯერად არ დავწვრილმანდებით და თავსაც აღარ შეგაწყენთ). მაგრამ ფარ-ხმალის დაყრა ნამდვილად არ გვმართებს. მთავარია, საქმეს მხოლოდ ზნეობრივი პრინციპებით მივუდგეთ, რომელიც უფლებას არ გვაძლევს სენტიმენტალურობისა და პესიმიზმის სენი შეგვეყაროს, რაც დავით ყიფიანის ბოლო პრესკონფერენციას ეტყობოდა. თუმცა, თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელს არ ესწავლება, რომ ქართულ ფეხბურთში დღეს, მართლაც გადამწყვეტი მომენტი დგება. იმედია, დავით ყიფიანი თავის ბედს, როგორც რკინას, როცა ცხელია, მაშინ გამოსჭედს.

დათო თავართქილაძე

---

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**მეორე ჯგუფი ● XXI ტური**

# ზარანდიამ უთუთაშხიოდაც გაილაღა

**„თორი" (ბორჯომი) – „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 2-1**

*თორი:* რეხვიაშვილი, ქიტიაშვილი (ახვლედიანი), ნოზაძე, წიქარიშვილი, ჩადუნელი, დენისკინი, ციცქიშვილი, ფირცხალავა, პოდრუჩნი, ზარანდია, გაჩეჩილაძე.
*სამეგრელო:* ქარჩავა, შენგელია, ჭანტურია, ხორავა, ახალაია, ქვილითაია, ნოდია, გიგიბერია, ბასილაია, სიჭინავა, ჭეჟია.
*გოლები:* 1-0 ზარანდია (46), 2-0 ზარანდია (88), 2-1 ახალაია (90).
*გააფრთხილეს:* პოდრუჩნი
*გააძევეს:* პოდრუჩნი
*მსაჯი:* ასკარ-ოღლი (ქარელი)

ფინანსური სიძნელეების გამო მრავალმა ფეხბურთელმა დატოვა „თორი": დავით ვარდიაშვილი — ხაშურის „ივერიაში" გადავიდა, ზაზა კობესაშვილი და ავთანდილ ლაბაძე — სამტრედიის „იბერიაში", გია ბერიძე — ბოლნისის „სიონში", რევაზ გლუნჩაძე — ზუგდიდის „ოდიში", პაატა გოგოლაძე — ახალციხის „მესხეთში". უფრო ადრე კლუბიდან წავიდა და ვიტ-ჯორჯიაში ჩაირიცხა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ლადო გოჩაშვილი.

შეხვედრა სწრაფ ტემპში წარიმართა. მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ და თავიდანვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ჩხოროწყუელთა კართან. კარგი მომენტები ჰქონდათ პოდრუჩნის და ლერი გაჩეჩილაძეს. ბორჯომელთა გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა 32 წლის აგრესიულმა თავდამსხმელმა — ლერი გაჩეჩილაძემ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შეძლო კარის აღება, ორივე გოლი მისი უშუალო მონაწილეობით გავიდა. თამამად შეიძლება ითქვას, ჩხოროწყუელთა მეკარის — ქარჩავას თავდადება რომ არა, ბორჯომელები უფრო შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწევდნენ.

გოლები კი ასე გავიდა: მეორე ტაიმის პირველივე წუთზე ლერი გაჩეჩილაძის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი ზარანდიამ, რომელსაც უზადო თავურით აიღო სტუმართა კარი. ზარანდიამ მართლაც რომ სისხლი გაუშრო მოწინააღმდეგეს. მეორედ მან კვლავ „თავურით" გაიტანა ბურთი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომელებს „სტუმარ-მასპინძლების" ადათ-წესებიც არ დავიწყებიათ და შეხვედრის მიწურულს მეგრელ ფეხბურთელებს პრესტიჟის ბური გაატანინეს და ერთი გოლის „გემო" მაინც აგრძნობინეს.

გოგა ლომიძე,
ბორჯომი

---

**მივლინება საფეხბურთო კლუბში**

# ბორჯომში პირველყოფილი თემური სუფევს...

**ძლიერ კლუბებთან შედარებით, მეორე ჯგუფის გუნდების მდგომარეობა, თუნდაც მარტო ფინანსური თვალსაზრისით, ძალზე სავალალოა, მათ შორისაა, ბორჯომის „თორიც", რომლის დაშლაც თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ...**

ორი წლის წინათ, რაიონის გამგებელმა ვ. ბერიძემ, დეპუტატმა ვ. ქარსელაძემ და ფირმა TBC-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტეს ბორჯომში შეექმნათ ძლიერი გუნდი, რომელიც რამდენიმე წელიწადში ევროთასებზე ითამაშებდა, მანამდე კი გუნდს სათანადო ბაზას, სტადიონს და სხვა საჭირო პირობას შეუქმნიდნენ. პრეზიდენტად ომაზ ჩხეიძე აირჩიეს, რომელსაც საამისო გამოცდილება ჰქონდა. 1981-1986 წლებში, როდესაც ბორჯომის რაიკომში მუშაობდა, მან ითავა ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება და სახელი „თორიც" გუნდს თავად შეურჩია. იმ დროს ომაზ ჩხეიძეს მაღალ თანამდებობაზე დაწინაურებაც ელოდა, მაგრამ ფეხბურთისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა თავისი გაიტანა და დათანხმდა ამ წინადადებას. მთავრდებოდა 1996-1997 წ. საფეხბურთო სეზონი. იმ დროს „თორი" მეორე ჯგუფის უიმედო აუტსაიდერი იყო. გუნდში აუწერელი ნეგატიური ატმოსფერო სუფევდა: მთელი სეზონის განმავლობაში არ გაცემულა ხელფასები. კლუბს დიდი ვალები დააწვა. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში იყო ბავშვთა ფეხბურთი. გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა, გამოესწორებინა ვითარება. ახალმა პრეზიდენტმა თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო ბავშვთა ფეხბურთს, სადაც მოღვაწეობას შეუდგნენ ჯ. ქართველიშვილი და ვეტერანი ფეხბურთელი თ. მეტრეველი. ბავშვთა ფეხბურთში მუშაობა დაიწყო აგრეთვე ყოფილმა მეკარემ კ. თედიაშვილმა, რომელიც ერთდროულად „თორის" მთავარი მწვრთნელიცაა. ცოტა ხანში სასიკეთო ძვრებიც გამოჩნდა, რომ იტყვიან, ყინული დაიძრა და ჩამკვდარი სტადიონი გაივსო ბავშვებითა და მშობლებით. ტრადიციული გახდა ჯემალ ზეინკლიშვილის თასის გათამაშება, დამყარდა კონტაქტები სხვა ქალაქებთანაც. ბორჯომის სტადიონს და მის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ჯემალ ზეინკლიშვილის სახელი. რაც შეეხება „თორს", გუნდმა (იგივე შემადგენლობით) თანდათან გააუმჯობესა თამაში და პირველივე წრის შემდეგ ცხრილის შუაგულამდე აღზევდა. მეორე წრეში კი პატარა საფეხბურთო სასწაული მოახდინა — ზედიზედ 13 შეხვედრაში იმარჯვა და ლიდერებშიც აღმოჩნდა, მაგრამ... თანდათან მწიფდებოდა შიდა სიძნელეებით გამოწვეული კრიზისი. ფირმა TBC-იმ ორი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 1200 ლარი გამოყო (ეს საშეჯიბრო თანხა გადაირიცხა ფეხბურთის ფედერაციაში), მეორედ — 20000 ბოთლი „ბორჯომი", მესამედ — 5000 ლარი. ეს იყო და ეს. ფეხბურთელები, ასე ვთქვათ, ავანსად თამაშობდნენ. შეპირებები, შეპირებები... ამასობაში თითოეულ მათგანს 600-600 ლარი დაუგროვდა მისაღები. და როცა დარწმუნდნენ, რომ ამ თანხას მათ არავინ მისცემდა, ერთბაშად 9 ფეხბურთელმა (!) დატოვა გუნდი.

აქედან იწყება „თორის" დაღმასვლა. ერთი პერიოდი კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდზე ხელიც კი ჩაიქნია და გადაწყვიტა აქცენტი ბავშვთა ფეხბურთზე გადაეტანა, მაგრამ ფინანსურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, არ იყო ელემენტარული პირობები: შხაპი, გასახდელები, სათადარიგო მოედანი, ოთახი გუნდის თეორიული მეცადინეობის ჩასატარებლად...

მოკლედ, გუნდი იმყოფებოდა პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში. ასეთი სავალალო სიტუაცია ნაწილობრივ განპირობებული იყო იმითაც, რომ არ მუშაობდა რაიონის წარმოება-დაწესებულებები.

ამჟამად TBC-ის ხელმძღვანელობას კვლავ განზრახული აქვს „თორის" აღორძინება, მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როდესაც ქარხნებს აამუშავებენ.

როგორც ხედავთ, უიმედო სიტუაციაა ბორჯომში. მიუხედავად ამისა, სტადიონი ყოველთვის გადაჭედილია ფანატებით, რომლებიც მომავალს იმედიანად შეჰყურებენ.

გოგა ლომიძე,
„ლელოს" სპეც. კორ., ბორჯომი

---

![FRANCE 98 INFORMATIONS]

**FRANCE 98**
**INFORMATIONS**

## ითამაშებს, როგორ არა!

ბევრ ექსპერტს აეჭვებს, ითამაშებს იურგენ კლინსმანი მსოფლიო ჩემპიონატში? მის მიმართ ხომ არაერთი პრეტენზია გამოითქვა. რაც შეეხება გერმანელთა მწვრთნელ ბერტი ფოგთსს, რომელმაც ამას წინათ ნახა განთქმული თავდამსხმელის ერთ-ერთი თამაში ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" შემადგენლობაში, იგი თითქოს ოპტიმისტურადაა გაანწყობილი:

— კლინსმანი უკვე ახლა აჩვენებს თავისი პოტენციური შესაძლებლობების 80 პროცენტს — განუცხადა ბერტი ფოგთსმა ჟურნალ „კიკერის" კორესპონდენტს.



იურგენ კლინსმანი

## ფერარა, ჟუნიორი, სუზისარეტა, ელბერი, ახლა ვინალდაც?

ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მონდიალზე მონაწილეობა სანუკვარ ოცნებად იქცა, ამიტომ საწყენია, როცა უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებს მოაქვს ცნობები ამა თუ იმ ცნობილ ვარსკვლავის ტრავმის შესახებ. ახლაც, შევიტყვეთ, რომ საფრანგეთში ვერ გამოვა აშშ-ს ნაკრების საუკეთესო თავდამსხმელი ერიკ ვინალდა — მან ერთ-ერთ თამაშში სერიოზულად დაიზიანა მარცხენა მუხლი. ამერიკელებს სანუგეშო აქვთ: ნაკრებს დაუბრუნდება ტებ რამოსი, რომელმაც უკვე მოიშუშა ტრავმა.

## ნიგერიელებმა თავისი გაიტანეს

ადრე ვიტყობინებოდით, ნიგერიის ნაკრების მოთამაშეები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში ნათამაშევ თითო მატჩში პრემიის გარდა გასამარჯვლოდ თითო ფეხბურთელზე 6 ათასი დოლარის ნაცვლად 8 ათასს ითხოვენ. უცხოეთის სააგენტოების ცნობით, ფეხბურთელთა ეს მოთხოვნა ქვეყნის ხელისუფლებამ დააკმაყოფილა.

## ყველაფერი პარიზში გადაწყდება

7 აპრილს ამოიწურა ფიფას პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადა. ამ პოსტის მაძიებელი ორია — ფიფას გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი.



ბლატერი

82 წლის ჟოაო ავილანჟის შემცვლელი გამოვლინდება 8 ივნისს პარიზში, ფიფას 51-ე კონგრესზე. პირველ რაუნდშივე გასამარჯვებლად, ერთ-ერთმა კანდიდატმა ხმების ორი მესამედი უნდა მოაგროვოს (ვეჭვობთ, რომ ასე მოხდეს). თუ არც ერთს არ აღმოაჩნდება ამდენი მომხრე, დაინიშნება კენჭისყრის მეორე რაუნდი და გამარჯვებული გამოვლინდება ხმების უბრალო უმრავლესობით. იტყობინებიან, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ფიფას 198 წევრი-ასოციაცია.



იუჰანსონი

## წავა არიგო საფრანგეთს?

იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა" საინტერესო ცნობა დაბეჭდა — სკუადრა აძურასა და „მილანის" ყოფილ მწვრთნელს *არიგო საკის* ეპატიჟება ფრანგული „პარი სენ-ჟერმენი", რომელიც მაისის ბოლოს თანამდებობიდან ათავისუფლებს ბრაზილიელ მწვრთნელ რიკარდოს. საქმე ისაა, რომ პსჟ ეროვნული ჩემპიონატის წლევანდელ გათამაშებაში ძალიან უფეროულად გამოდის და სატურნირო ცხრილის მხოლოდ მეხუთე საფეხურზეა, რაც გუნდის მეპატრონეებს აშკარად არ აკმაყოფილებთ.

---

# მუსტაფა ჰაჯი — მაროკოელი ვარსკვლავი

როცა ფრანგულ კლუბ „ნანსიზეა" საუბარი, გულშემატკივარი, ცხადია, პირველ ყოვლისა დიდოსტატ მიშელ პლატინის გაიხსენებს. აი, სწორედ ამ კლუბში აღიზარდა მაროკოს ნაკრების შესანიშნავი ნახევარმცველი მუსტაფა ჰაჯი.

ჰაჯი (დაიბ. 1971 წ. 16 ნოემბერს) მაროკოში კი დაიბადა, მაგრამ როგორც ფეხბურთელი, საფრანგეთში ჩამოყალიბდა. ხუმრობა ხომ არ არის, მან „ნანსის" შემადგენლობაში მთელი 8 სეზონი გაატარა. 1993 წელს იგი თავისებური არჩევანის წინაშე დადგა, რომელი ქვეყნის ნაკრებში ეთამაშა. რა თქმა უნდა, საფრანგეთის ნაკრების შედარება მაროკოელებთან არც მაშინ შეიძლებოდა და არც ახლა, მაგრამ „სისხლის ყივილით ჰაჯიმ მაინც თავისი მშობლიური ქვეყანა აირჩია. იმ წელს იგი პირველად მაროკოელთა შემადგენლობაში ზამბიის ნაკრების წინააღმდეგ გამოვიდა. ასე დაიწყო...

1994 წელს მუსტაფა ჰაჯი შესარჩევი მატჩების მოგების შემდეგ თავისი ნაკრების შემადგენლობაში აშშ-ში გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის მისაღებად. ამჯერად მაროკოელებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი — სამივე წინასწარი შეხვედრა წააგეს.

ახლა სხვა ვითარებაა — მაროკოს ნაკრებს საფრანგეთში ჯეროვნად აფასებენ. — მსოფლიო ჩემპიონატში თამაში თითოეული ფეხბურთელისთვის დიდი პატივია, — განაცხადა მუსტაფა ჰაჯიმ — მე კი, რაც შემეხება, განსაკუთრებით იმ შეჯიბრებაში მინდოდა მონაწილეობა, რომელიც საფრანგეთში ჩატარდება. სწორედ ამ ქვეყანაში გავხდი პროფესიონალი ფეხბურთელი, აქ მყავს მრავალი მეგობარი, ბოლოს და ბოლოს, სწორედ საფრანგეთში ცხოვრობს ბევრი მაროკოელი, ოდნავადაც არ მაეჭვებს, რომ ჩვენს ნაკრებს სოლიდური დახმარებაც ექნება. არა მგონია, რომ ეს დაგვეხმარება დიდი წარმატების მოპოვებაში, მაგრამ თითოეული ჩვენგანისათვის ხომ სასიამოვნო იქნება, ეს კი ფაქტია, ჩემი პარტნიორები — ნაიბეტი, როსი, ტრიკი ხომ საფრანგეთის კლუბებში გამოდიოდნენ, ნაკრების მწვრთნელი ანრი მიშელი კი საერთოდ ფრანგია. ადრე ჰაჯი თავდამსხმელად თამაშობდა, შემდეგ კი ნახევარმცველი გახდა. იგი ნაკრების თამაშის წარმართველია, მისი არაორდინარული გადაწყვეტილებები ექსპერტების მოწონებას იმსახურებს.

ამას წინათ დამთავრებულ აფრიკის თასის გათამაშებაში მაროკოელებს არაფრით გამოუჩენიათ თავი, ისინი მხოლოდ მეოთხედფინალამდე მივიდნენ. მაგრამ ბევრი ნაკრებისაგან განსხვავებით, ამ ტურნირს მხოლოდ მსოფლიო პირველობისათვის მოსამზადებელ ეტაპად თვლიდნენ. ამჯერად მთავარი იყო ოპტიმალური შემადგენლობის შეთამაშება და გამობრძმედა. ამასთან, მაროკოელები ამ შეჯიბრებაში ერთადერთი იყვნენ, ვინც მომავალ გამარჯვებულებს, ეგვიპტელებს მოუგო. თვით მუსტაფა ჰაჯიმ კი ერთხელ კიდევ აჩვენა თავისი დიდი ოსტატობა, უმაღლესი ტექნიკა.

— როცა ძლიერ გუნდში თამაშობ, ყოველთვის დიდ სიამოვნებას იღებ — ამბობს ჰაჯი, — ვფიქრობ, ჩვენს ნაკრებს შეიძლება ძლიერი ეწოდოს. მართალია, მსოფლიო ჩემპიონატში ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ წინასწარი თამაშების შემდეგ, ჩემი აზრით, ჩვენზეც ისე ილაპარაკებენ, როგორც 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ნიგერიელ „არწივებზე" ალაპარაკდნენ.

1996 წელს ჰაჯი ლისაბონის „სპორტინგში" თამაშობდა. შემდეგ ესპანეთის ლიგის ლა-კორუნიას „დეპორტივოში" გადავიდა. ესპანეთის ლიგაში თამაში, რა თქმა უნდა, ხუმრობა საქმე არ არის, მაგრამ მთავარი მსოფლიო ჩემპიონატია, რომელიც მაროკოელ ვარსკვლავს თავისი „სიცოცხლის შეჯიბრებად" მიაჩნია. ამ მხრივ ჰაჯი, ცხადია, მარტო არ არის — ასევე ფიქრობენ ნაკრების სხვა წევრებიც.

## რა გულუბრყვილონი ყოფილხართ, პორტუგალიელებო!

— მილიონობით პორტუგალიელი ლისაბონის რადიოჟურნალისტთა საპირველაპრილო ხუმრობას წამოეგო და დედაქალაქის ქუჩებში გრანდიოზული ცეკვა-თამაში წამოიწყო. თურმე, ნუ იტყვით რადიოს დიქტორმა გამოაცხადა, თითქოს საფრანგეთის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატში ირანელებმა უსაფრთხოების გარანტია ვერ მიიღეს და უარი თქვეს მონდიალზე გამოსვლაზე. აქედან გამომდინარე, ფიფას გადაუწყვეტია სპარსელების ნაცვლად, ასპარეზობაში პორტუგალიის ნაკრები დაუშვანო (გიხაროდენ, ძმებო!). ვიღაცამ ფიფას წარმომადგენლის მისია ითავა და გულშემატკივართა დასარწმუნებლად „დოკუმენტი" მსმენელს ინგლისურ ენაზე წაუკითხა.



რამდენიმე საათში რადიომ ხალხს სიმართლე ამცნო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

# ფრანგები

**საფრანგეთის** ნაკრები ყოველთვის იყო მსოფლიო ჩემპიონატების სასურველი მონაწილე. ფრანგების აქტიური, კომბინაციური, შემტევი თამაში გულშემატკივრების დიდ სიმპათიას იმსახურებდა.

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი, რომელიც 1930 წელს ურუგვაიში ჩატარდა, ევროპა სულ 4 ნაკრებით იყო წარმოდგენილი. ისინი ოთხ წინასწარ ჯგუფში გაფანტეს, ფრანგების მეტოქეები კი იყვნენ მექსიკის, არგენტინისა და ჩილეს გუნდები.

პირველი მატჩი მექსიკელებთან მეტად დრამატულად წარიმართა. მაშინ, როცა ანგარიში იყო 1-0 ფრანგების სასარგებლოდ (გოლი გაიტანა ლორანმა), მეტად ნერვიულად და უხეშად მოთამაშე მექსიკელებმა ტრავმა მიაყენეს მეკარე ტეპოს, რომელიც, თავშეხვეული საავადმყოფოში გაგზავნეს. რახან მოთამაშეთა შეცვლა იმ დროს აკრძალული იყო, კარში ჩადგა მარჯვენა ნახევარმცველი შანტერელი და ფრანგებმა ათი კაცის შემადგენლობით გააგრძელეს ბრძოლა. ამის მიუხედავად, უფრო მაღალი კლასის ნაკრებმა მაინც გაიმარჯვა. ჯერ ლანჟილემ, ხოლო შემდეგ მაშინომ (2) გაიტანეს სამი გოლი, რასაც კარენიომ ერთით უპასუხა 4-1 — ეს სავსებით დამაჯერებელი მოგება იყო. მეორე მატჩს ჯგუფის ფავორიტ არგენტინელებთან უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. მეშვიდე წუთზე კვლავ დაშავდა საავადმყოფოდან დაბრუნებული მეკარე ტეპო, იგივე დაემართა ლორანსაც. ამის მიუხედავად, ორივე ფეხბურთელმა ვაჟკაცურად გააგრძელა ბრძოლა. ფრანგები ტოლს არ უდებდნენ ძლიერ მეტოქეებს 81-ე წუთამდე, როცა „პამპასების ხარად" წოდებულმა მონტიმ ბოლოს და ბოლოს გახსნა ანგარიში. 84-ე წუთზე ლანჟილემ გვერდი აუარა სამხრეთამერიკელთა მთელ დაცვას, პირისპირ გადიოდა მეკარე ბოსიოსთან. სწორედ ამ დროს მსაჯმა ალმეიდა რეგომ (ბრაზილია) დაასრულა მატჩი... 6 წუთით ადრე! ფრანგებმა აღშფოთებით გამოხატეს პროტესტი, ხოლო გულშემატკივრები, რომლებიც არგენტინელთა მიმართ აშკარად მტრულად იყვნენ განწყობილნი, მინდორზე გადავიდნენ და დაიწყო დიდი აყალ-მაყალი და პოლიციამ ძ ლივს დააშოშმინა მაყურებელი. ნახევარი საათის შემდეგ თამაში განახლდა. ფრანგებმა დარჩენილი 6 წუთის განმავლობაში უკვე ვეღარაფერი მოახერხეს, არგენტინელები კი დაუფარავად აგზავნიდნენ ბურთს ტრიბუნაზე. 1-0 არგენტინელების სასარგებლოდ. ფრანგებმა წააგეს მესამე მატჩი ჩილელებთან — 0:1 და გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

მსოფლიოს მეორე ჩემპიონატზე, 1934 წელს იტალიაში მოხვედრისათვის ფრანგებს მოუხდათ წინასწარი შეხვედრის ჩატარება, სადაც მათ იოლად, ანგარიშით 6-1 სძლიეს ლუქსემბურგელებს. ფინალური ნაწილის წილისყრაზე ფრანგებს აშკარად არ გაუმართლდათ. მერვედფინალში ისინი შეხვდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, ავსტრიულ „ვუნდერტიმს" („გასაოცარ გუნდს"), რომელიც იმ წლებში საერთოდ, უძლეველად ითვლებოდა. ნაკრებები ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ მინდორზე: *ავსტრია* — პლატცერი — ცისარი, სესტა — ვაგნერი, სმისტიკი, ურბანეკი — ციშეკი, ბიკანი, სინდელარი, შალი, ფირტლი. *საფრანგეთი* — ტეპო — მერესი, მატლერი — დელფური, ვერიესტი, ლიენსი — ველერი, ალკასარი, ნიკოლა, რიო, ასტონი.

დააკვირდით სათამაშო სქემას. ნაკრებები იყენებდნენ „დუბლვეს", რომელიც საფრანგეთის გუნდში დანერგა ინგლისელმა მწვრთნელმა კიმპტონმა. ფრანგებმა მეტად შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს უძლიერეს მეტოქეებს. შესანიშნავად ითამაშა მეკარე ტეპომ, რომელმაც ჯერ კიდევ მსოფლიოს წინა ჩემპიონატში, მონტევიდეოში მიიპყრო დიდი ყურადღება. ჩინებულად მოქმედებდა დაცვა, აგრეთვე, ცენტრალური თავდამსხმელი ნიკოლა. სწორედ მან გახსნა ანგარიში. ამას საპასუხო გოლით უპასუხა განთქმულმა ცენტრფორვარდმა სინდელარმა. იგი ეროვნებით ჩეხი ებრაელი მატიას შინდელარი, შემდეგ გერმანიის მიერ ავსტრიის „ანშლიუსის" დროს დაიღუპა. ძირითადი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ნიკოლამ სმისტიკთან შეჯახებისას ტვინის მსუბუქი შერყევა („კომუციო") მიიღო და საავადმყოფოში გაგზანეს. დამატებით დროში ავსტრიელებს უპირატესობა ჰქონდათ: გოლები გაიტანეს შალმა და ბიკანმა, რასაც ვერიესტმა ერთით უპასუხა. 3-2 — ფრანგებმა დატოვეს გათამაშება.

ფიფას კონგრესმა, რომელიც 1936 წელს ბერლინში გაიმართა, მსოფლიოს მესამე, 1938 წლის ჩემპიონატის ჩატარება საფრანგეთს დაავალა. უნდა ითქვას, რომ ფრანგმა ორგანიზატორებმა ჟიულ რიმემ და ანრი დელონემ ჩინებულად გაართვეს თავი სიძნელეებს. პარიზის სტადიონი „კოლომბი" გადაკეთდა და 65 ათასი მაყურებლის



ტიგანა



პლატინი

მიღება შეეძლო, „პარკ დე პრენსს" კი — 35 ათასისა. მარსელსა და ბორდოში კარგი სტადიონები 50-50 ათას მაყურებელს იტევდა. მატჩები დაინიშნა ტულუზაში, რეიმსსა, ჰავრსა და ანტიბში.

მერვედფინალში ფრანგებმა დამაჯერებლად მოუგეს ბელგიელებს — 3-1. აქ ყურადღება მიიპყრო იმ დროისათვის სრულიად ახალმა, დღეს კი ჩვეულებრივმა, ამბავმა: ფრანგებმა შესაძლებლად მიიჩნიეს თავიანთი ნაკრები კოლონიებიდან ჩამოყვანილი სამი ზანგით გაეძლიერებინათ. მასპინძლებს შორის საუკეთესო კვლავ ცენტრალური თავდამსხმელი პოლ ნიკოლა იყო, რომელმაც ორი გოლი გაიტანა. მეოთხედფინალურ მატჩს პარიზის „კოლომბის" სტადიონზე 65 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, 100 ათასი გულშემატკივარი კი სტადიონის მიღმა დარჩა. დიდხანს ანგარიში თანაბარი — 1-1 იყო (ფრანგთაგან გოლი გაიტანა ჰაისერერმა), მაგრამ შემდეგ იტალიელთა განთქმულმა თავდამსხმელმა სილვიო პიოლამ ორჯერ აიღო მეტოქის კარი — 3-1 და „სამფეროვანთა ნაკრებმა" დატოვა შეჯიბრება.

მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატი ბრაზილიაში 1950 წელს ბევრმა ევროპულმა ნაკრებმა გამოტოვა, მათ შორის იყვნენ ფრანგებიც. 1954 წელს ფრანგებმა, რომელთა ნაკრები იმ დროისათვის არაფრით გამოირჩეოდა, ითამაშეს მეხუთე ჩემპიონატში შვეიცარიაში. პირველი მატჩი მათ წააგეს იუგოსლავიელებთან, ამასთან, ერთადერთი ბურთი გაიტანა იუგოსლავიელთა განთქმულმა ცენტრფორვარდმა მილოშ მილუტინოვიჩმა, ახლანდელი ცნობილი მწვრთნელის, ბორა მილუტინოვიჩის უფროსმა ძმამ. მართალია, მეორე მატჩში ფრანგებმა დაამარცხეს მექსიკელები — 3-2 (ფრანგებიდან გოლები გაიტანეს ჟან ვენსანმა და შემდეგში სახელგანთქმულმა რაიმონ კოპამ, ერთი კი მექსიკელებმა საკუთარ კარში ჩაჭრეს), მაგრამ მეოთხედფინალში მაინც ვერ გავიდნენ.

სამაგიეროდ, ფრანგებმა შესანიშნავი გუნდი გამოიყვანეს 1958 წელს შვეციაში. აქ განსაკუთრებით დიდი სახელი მოიპოვეს მათმა თავდამსხმელებმა მარიან ვისნიესკიმ, როჟე პიანტონიმ, ჟან ვენსანმა, განსაკუთრებით კი რაიმონ კოპამ და ფენომენურმა სნაიპერმა ჟიუსტ ფონტენმა, რომელთა შეჩერება მთელი პრობლემა გახდა. ფრანგებმა შვეციაში ყველა მოხიბლეს თავიანთი კომბინაციური, შემტევი თამაშით. ამ ჩემპიონატში რომ ბრაზილიის მართლაც შეუდარებელი ნაკრები არ ყოფილიყო...

ფრანგების უკვე პირველივე მატჩმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. მათ პარაგვაელებს სძლიეს მართლაცდა უჩვეულო ანგარიშით 7-3. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში სამხრეთამერიკელები სამჯერ იყვნენ წინ, მაგრამ ყველაფერი გადაწყვიტა ფონტენის არაჩვეულებრივმა „სლალომმა", რომელმაც სამი გოლი გაიტანა, დანარჩენი ოთხის ავტორები კი იყვნენ პიანტონი, ვისნიესკი, კოპა და ვენსანი. მართალია, ფრანგებმა წააგეს მეორე მატჩი იუგოსლავიელებთან — 2-3 (ფონტენი — 2), მაგრამ მესამეში სძლიეს შოტლანდიელებს — 2-1 (პიანტონი, ფონტენი) და მეოთხედფინალში გავიდნენ. აქ მათ ჩრდილოირლანდიელებმა სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ფრანგებმა გასაქანი არ მისცეს მეტოქეთა დირიჟორ დანი ბლენჩფლაუერს, თავდამსხმელები „მოუმარაგებელი" დატოვეს, ამასობაში კი კოპას დიდებული გადაცემებით მეტოქის კართან ზედიზედ გაჰყავდა პარტნიორები. მის იმპროვიზაციებს ჩრდილოირლანდიელებმა ვერაფერი გაუგეს და წააგეს — 0-4. ორი გოლი ფონტენმა გაიტანა, თითო ვისნიესკიმ და პიანტონიმ.



კოპა



ფონტენი

მოხდა ისე, რომ ჩემპიონატის ორი უძლიერესი გუნდი — ბრაზილიელები და ფრანგები ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, ისე კი, მათი მატჩი ფინალს ნამდვილად დაამშვენებდა. რა თქმა უნდა, ბრაზილიელები უფრო ძლიერები იყვნენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს ფრანგების უიღბლობაც: ცენტრალურმა მცველმა ჟონკემ ტრავმა მიიღო და მინდვრიდან გაიყვანეს, აპენდიციტის შეტევა მოუვიდა პიანტონის (თუმცა ეს უკვე მატჩის შემდეგ იყო და მესამე ადგილისათვის დამატებით მატჩში უკვე ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას). მომავალმა მსოფლიოს ჩემპიონებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5-2, ფრანგთაგან კი გოლები ფონტენმა და პიანტონიმ გაიტანეს. ამის შემდეგ მესამე ადგილისათვის მატჩში ფრანგებმა მძიმე დარტყმა აგემეს დასავლეთ გერმანიის ნაკრებს — 6-3. იმის მიუხედავად, რომ ორი წამყვანი მოთამაშე ჟონკე და პიანტონი არა ჰყავდათ, „სამფეროვნებმა" მთელი მატჩი მძაფრ შეტევებში გაატარეს და თავიანთი კარის უსაფრთხოებას ნაკლებად დაგიდევდნენ. 4 ბურთი გაიტანა ფონტენმა, რომელიც ***13 გოლით ყველა მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდსმენი გახდა,*** თითო კი კოპამ და დუიმ, მცველი კელბელი, თავდამსხმელები კოპა და ფონტენი მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში მოხვდნენ.

ამ ტრიუმფს დიდი მარცხი მოჰყვა — ფრანგები წინასწარ შეჯიბრებაში დამარცხდნენ და ვერ მოიპოვეს მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. მათ ნაცვლად ჩილეში ბულგარელები გაემგზავრნენ. 1966 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ფრანგები კი თამაშობდნენ, მაგრამ ვაი ამ თამაშს. აქ მათ ჯერ მექსიკელებთან ითამაშეს ფრედ — 1-1 (ოზერი), შემდეგ წააგეს 1-2 ურუგვაელებთან (დე ბორჟონი) და ინგლისელებთან — 0-2. ერთი სიტყვით, ნაკრებს მძიმე დრო დაუდგა. მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატში იგი კვლავ ვერ მოხვდა, იგივე განმეორდა 1974 წელსაც. 1978 წელს ნაკრები არგენტინაში კი გაემგზავრა, მაგრამ კარგი ვერაფერი გააკეთა. ჯერ იყო და დამარცხდა — 1-2 იტალიელებთან, სადაც გოლის ავტორი ლაკომბი იყო, შემდეგ კვლავ ამნაირი ანგარიშით წააგო არგენტინელებთან — ამჯერად გოლი შემდგომში საყოველთაოდ აღიარებულმა მიშელ პლატინიმ გაიტანა. ამ ორი დამარცხების შემდეგ საქმეს, ცხადია, ვერ გამოასწორებდა უნგრელებთან მოგება — 3-1 (ლოპესი, ბერდოლი, როშტო) და ფრანგები ვერ გასცდნენ წინასწარ ჯგუფს.

სამაგიეროდ, ამდენი მარცხის შემდეგ 80-იან წლებში საფრანგეთის ნაკრებში დიდი აღმავლობა დაიწყო. იგი ზედიზედ ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი გახდა. 1982 წელს ესპანეთში ფრანგებმა წინასწარ ჯგუფში ჯერ წააგეს ინგლისელებთან — 1-3 (სოლერი), შემდეგ სძლიეს კუვეიტელებს — 4-1 (ჟენგინი, პლატინი, სიქსი, ბოსისი), ფრედ — 1-1 (სიქსი) ითამაშეს ჩეხოსლოვაკიელებთან და გააგრძელეს ბრძოლა. შემდეგ მათ მოუგეს ავსტრიელებს — 1-0 (ჟენგინი) ჩრდილოირლანდიელებს — 4-1 (ჟირესი-2, როშტო-2) და ნახევარფინალში გავიდნენ. აქ მათ უაღრესად დრამატული მატჩი ჰქონდათ დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან. მეორე ტაიმში ფრანგები წინ იყვნენ — 3-1 (პლატინი — პენალტით, ტრეზორი, ჟირესი), მაგრამ გერმანელებმა გაათანაბრეს ანგარიში და ბოლოს პენალტების სერიით გაიმარჯვეს კიდეც. მატჩი მესამე ადგილისათვის ფრანგებმა წააგეს პოლონელებთან — 2-3 (ჟირარი, კურიოლი). ჩემპიონატის შედეგების თანახმად ნახევარმცველი ალენ ჟირესი მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში მოხვდა.



ფრანგთა მეკარე ბატსი

**1986** წლის მსოფლიო ჩემპიონატში ფრანგებისაგან, გასაგებია, ბევრს მოელოდნენ. ისინი ხომ 1984 წელს ევროპის ჩემპიონები გახდნენ. რა თქმა უნდა, მსოფლიო პირველობა მაინც სხვა დონის შეჯიბრება იყო, მაგრამ ნაკრებმა შეინარჩუნა თავისი ბირთვი და წარმატების იმედი ჰქონდა. თუმცა, ამჯერად, დიდი სიძნელეები შესარჩევ ჯგუფშიც იყო გადასალახი, სადაც ფრანგების მეტოქეები იყვნენ იუგოსლავიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლუქსემბურგის ნაკრებები. გულშემატკივრებს „სამფეროვნების" დიდი იმედი ჰქონდათ, ამ ნაკრებში ხომ ისეთი ოსტატები გამოდიოდნენ, როგორნიც იყვნენ ბატსი, ბიბარი, ამოროსი, სენაკი, ბოსოსი, ფერნანდესი, ჟენგინი, ტიგანა, სტოპირა, პლატინი, ბელონი. სწორედ ამ შემადგენლობამ გადაიტანა თავის მხრებზე შესარჩევი შეჯიბრების მთელი სიძნელეები. აქ ფრანგებმა დიდი ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავეს და ბულგარელებთან ერთად გავიდნენ ფინალში.

შემდეგ კი დაიწყო, რაც დაიწყო. წინასწარ „B" ჯგუფში ფრანგების მეტოქეები იყვნენ კანადის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრებები. პირველი მატჩი კანადელებთან ფრანგებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა მათმა ახალმა, შედეგიანმა თავდამსხმელმა ჟან პიერ პაპენმა, რომელიც მომდევნო წლებში თანდათან გუნდის ნამდვილ ლიდერად იქცა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შეხვედრის ფრედ (1-1, ფერნანდესი) დასრულების შემდეგ ფრანგებმა მძიმე მარცხი — 3-0 აგემეს უნგრელებს. გოლები გაიტანეს სტოპირამ, ტიგანამ და როშტომ. ამით მათ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. აქ ფრანგები თავიანთ ძველ მეტოქეებს, იტალიელებს შეხვდნენ, რომლებიც, რა თქმა უნდა, 1982 წლის ნაკრების აჩრდილსღა წარმოადგენდნენ. ფრანგებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2-0. გოლები გაიტანეს პლატინიმ და სტოპირამ. როგორც მიმომხილველები აღნიშნავდნენ, ფრანგები მეტოქეს არა მარტო შუა ხაზში აღემატებოდნენ, არამედ, საერთოდ გაცილებით უკეთესი ნაკრები ჰყავდათ. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე იტალიელმა ჟურნალისტებმა დაივიწყეს თავიანთი მწვრთნელის, ენცო ბეარზოტის ყველა ადრინდელი დამსახურება და მკაცრად დაესხნენ მას თავს. აქ აღინიშნა ისიც, რომ ფრანგებმა იტალიელებთან მოიპოვეს პირველი გამარჯვება... 66 წლის შემდეგ!

როგორც კომენტატორებმა აღნიშნეს, საფრანგეთისა და ბრაზილიის მეოთხედფინალურ მატჩში ნაკრებებმა აჩვენეს ყოველივე ის საუკეთესო, რაც ევროპულ და სამხრეთამერიკულ ფეხბურთს ახასიათებდა. ასეთი მაღალი დონის თამაში უფრო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს შეეფერებოდა: უმაღლესი ტექნიკა, შესანიშნავი კომბინაციები, გარეგნული მომხიბლაობა, კოლექტივიზმი, მორალი და შემართება. რამდენი დუელი გაიმართა! მეტოქეები ცდილობდნენ გასაქანი არ მიეცათ სოკრატესისა და ზიკოსთვის, ჟირესისა და პლატინისათვის. ამ უკანასკნელს ამ დღეს 31 წელი შეუსრულდა, სიხარულის გრძნობაც განიცადა (როცა გოლი გაიტანა) და დიდი სინანულიც (11-მეტრიანი ვერ გამოიყენა). გამართლდა ორივე მწვრთნელის წინასწარი განცხადება. ტელე სანტანას აზრით, ეს მატჩი სანახაობითი თვალსაზრისით კარგი უნდა გამომდგარიყო, გამარჯვება კი მეტად ძნელი მისაღწევი. ანრი მიშელი ფიქრობდა, რომ საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებები ყველა თვალსაზრისით თანაბარნი იყვნენ.

ანგარიში კარეკამ გახსნა, პლატინიმ კი გაათანაბრა. როცა 120 წუთის შემდეგ ვერც ერთმა მხარემ უპირატესობა ვერ მოიპოვა, დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმების სერია. დაიწყო სოკრატესმა, მაგრამ მისი დარტყმა ბატსმა მოიგერია. შემდეგ: სტოპირა — 2-1, ალემანი — 2-2, ამოროსი — 3-2, ზიკო — 3-3, ბელონი — 4-3, ბრანკო — 4-4, პლატინიმ და სეზარმა დარტყმა ვერ გამოიყენეს, მაგრამ ფერნანდესმა გაიტანა — 5-4 და გამარჯვება მოუტანა ფრანგებს.

თითქოს განმეორდა 4 წლის წინანდელი სევილიის ნახევარფინალი — ისევ ფრანგები და გერმანელები შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით აღარ გამეორებულა. ფრანგები ბრაზილიელებთან ისტორიული გამარჯვების შემდეგ დაღლილნი გამოიყურებოდნენ, გერმანელებმა კი ამ ჩემპიონატში საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და გვადალახარას „ხალისკოს" სტადიონზე გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 2-0.

მატჩი მესამე ადგილისათვის საფრანგეთისა და ბელგიის ნაკრებებს შორის გაიმართა. მასაც 120 წუთი დასჭირდა. კულემანსმა გახსნა ანგარიში, ფრანგების ახალგაზრდა ნახევარმცველმა ფერერომ გაათანაბრა. პაპენის გოლის შემდეგ კლაუსენმა კვლავ აღადგინა წონასწორობა, მაგრამ შემდეგ ჟენგინიმ და ამოროსმა გასტეხეს ბელგიელების წინააღმდეგობა.

ამჯერად მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში ფრანგებიდან ამოროსი და ფერნანდესი მოხვდნენ.

„სამფეროვანთა" ნაკრებმა გაიმეორა 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგი, რასაც დიდი მარცხიც მოჰყვა. საქმე ის არის, რომ ვერც 1990 და ვერც 1994 წლებში ფრანგებმა ფინალის საგზურის მოპოვება უკვე ველარ მოახერხეს.

ბივი გამრეკელი

# ეს იყო... დისნეილენდში

**ფიფა რომ მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებს (მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგად) 1991 წლიდანაა ცნობილი. წლევანდლიდან კი ფიფამ დასაბამი მისცა „ფეხბურთის ჩემპიონთა დარბაზს“ (Football hall of Champions), რომლის ინაუგურაცია პარიზის დისნეილენდში ჩატარდა...**

აქამდე სპორტის ყველა პოპულარულ სახეობას ჰქონდა თავისი სახელგანთქმული ადამიანების დარბაზი თუ თავისებური გალერეა. გამონაკლისი მხოლოდ ფეხბურთი გახლდათ, რაც პარადოქსულად გამოიყურებოდა — ფეხბურთი ხომ ყველაზე დიდი და ყველაზე საერთაშორისო სპორტია.

პირველი ნაწილი პარიზის დისნეილენდის გალა სალამოსი მიეძღვნა იმ ცნობილ ხალხს, რომლებიც პირველნი შევიდნენ „ფეხბურთის ჩემპიონთა დარბაზში“. მოქმედ ფეხბურთელებზეც იზრუნეს — ფიფას 1991 და 1993 წლების მთავარ ლაურეატებს ლოთარ მათეუსსა და რობერტო ბაჯოს სამახსოვრო „ვერცხლის თეფშები“ უბოძეს.

პარიზის დისნეილენდის სცენა ოკუპირებული იყო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის შემოქმედი ადამიანებით, რომელთაც გალა სალამოზეც უკვდავი, მარადიული პელე ლიდერობდა მაღლულად. მას სტუმრების, კოლეგებისა და ორგანიზატორების ყველაზე დიდი ოვაციები ხვდა სცენაზე გამოჩენისას. 57 წლის პელემ შეკრებილთ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ფეხბურთი დიდხანს იცდიდა, რათა საკუთარი დიდების დარბაზი ჰქონოდა. ახლა კი ჩვენ, სულ მიცრე, ერთნი ვართ“. შემდეგ „მარადმწვანე“ სერ ბობი ჩარლტონიც ალაპარაკდა: „დიდი პატივია იყო იმ პირველთაგანთა შორის, რომლებმაც დასაბამი მისცეს „ჩემპიონთა დარბაზის“ შექმნას. ჩემთვის ყოველთვის გამოცანად რჩებოდა, რატომ არ გამოჩნდა ამდენ ხანს ასეთი იდეა. მაგრამ ყველაზე მშვენიერი ის გახლავთ, რომ აქ ბევრ ძველ მეგობარს ვხედავ, თანაც ყველას ერთად და თითოეული მათგანი ერთმანეთთან ყოფნით ტკბება, იხსენებს ძველ დროს“.


შესანიშნავი შვიდეული დისნეილენდში: ეუსებიო, ფონტენი, ბეკენბაუერი, პელე, ბ. ჩარლტონი, ფაკეტი (რომელიც ფონტენის დარად საპატიო სტუმრის სტატუსით იყო დარბაზობაზე) და მიხელსი


ლოთარ მათეუსს ვერცხლის თეფშს გადასცემს მიშელ პლატინი

ბევრი მომენტი იმ ძველი დროიდან ვიდეომასალებითაც გაიხსენეს დისნეილენდის გალა სალამოზე, რასაც ფრანც ბეკენბაუერმა ასეთი კომენტარი დაურთო: „ფეხბურთელები ისე გამოიყურებოდნენ, რომ მაშინ თამაშისაგან უფრო მეტ სიამოვნებას იღებდნენ — ალბათ იმიტომ, რომ ადრე მათზე ნაკლები ზეწოლა იყო“. რაც შეეხება პრესკონფერენციას, მას რინუს მიხელსი, მატ ბასბი, ეუსებიო, ბეკენბაუერი, ჩარლტონი და პელე დაესწრნენ. ნოსტალგიური მოგონებები ერთმანეთს ცვლიდა, ხოლო ყველაზე საგულისხმო და დიპლომატიური ფრაზა რინუს მიხელსმა თქვა: „სამი მათგანი, რომლებიც ამ პრესკონფერენციაზე არიან, ფორვარდია. მე მომწონს ფორვარდები. მათ სამივეს ავიყვანდი გუნდში“.

შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს ფრანც ბეკენბაუერი „ჩემპიონთა დარბაზში“ შევიდეს, როგორც მწვრთნელიც. მას ისიც ჰკითხეს, ხომ არ აპირებს კვლავ მიჰყოს ხელი ამ პროფესიას, მაგრამ კაიზერმა შეიცხადა: „არა, რადგან გიჟი არა ვარ“.

პირველ დარბაზობას ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრნენ ალფრედო დი სტეფანო და იოჰან კრუიფი. სამაგიეროდ, იყო „L'Equipe“-ის ყოფილი რედაქტორი 92 წლის ჟაკ გოდე. ხოლო სპორტული ინვენტარის მწარმოებელთა შო-


რობერტო ბაჯომ კი სამახსოვრო თეფში მიშელ ვოტროსაგან მიიღო

რის კი პატივი „ადიდასის“ ყოფილ შეფს ჰორსტ დასლერს ხვდა — ბიზნესმენს, ვინც ფეხბურთის ინტერესებს ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა.

„ფეხბურთის ჩემპიონთა დარბაზის“ წევრებს ყველა კონტინენტის 32 ჟურნალისტი ირჩევს, რომლებიც მთავარ პრინციპად ამა თუ იმ ნომინანტის წმინდა საფეხბურთო დამსახურებებს გარდა, პიროვნულ ღირსებებსაც მიიჩნევენ — ვინც FAIR Play-ის ამ მცნებასთან მწყრალად არის, დარბაზობაზე მოხვედრის მინიმალური შანსიც კი არ გააჩნია. ფიფას გადაწყვეტილებით „ჩემპიონთა დარბაზს“ ყოველწლიურად არა უმეტეს 5 ფეხბურთელი შეიძლება დაემატოს. კიდევ ერთი აუცილებლობა ის გახლავთ, რომ ნებისმიერი ნომინანტი, იქნება ის მწვრთნელი, ფეხბურთელი თუ მსაჯი, მინიმუმ 5 წელი მაინც უნდა ჰქონდეს თავი დანებებული აქტიურ საფეხბურთო პროფესიონალურ მოღვაწეობას. მაგალითად, თუ ფეხბურთელი იყო, აღარ უნდა ფეხბურთელობდეს, მსაჯი — აღარ უნდა მსაჯობდეს და ა.შ.

სულ კი „ფეხბურთის ჩემპიონთა დარბაზს“ 8 ნომინაცია აქვს. გთავაზობთ პირველ ლაურეატთა სიას:

***ფეხბურთელები:*** პელე, ბეკენბაუერი, კრუიფი, დი სტეფანო, პლატინი, ბ. ჩარლტონი, მეტიუზი, პუშკაში, ეუსებიო და იაშინი.
***მწვრთნელები:*** რინუს მიხელსი და სერ მატ ბასბი.
***მსაჯები:*** მიშელ ვოტრო
***საკლუბო გუნდები:*** მადრიდის „რეალი“
***ეროვნული გუნდები:*** ბრაზილია
***პიონერები:*** ჟიულ რიმე
***მასმედია:*** ჟაკ გოდე
***ინვენტარის მწარმოებელი:*** ჰორსტ დასლერი.

„FIFA MAGAZINE“-დან
მოამზადა
დათო თავართქილაძემ

# ზონაში მას ქურდი ჰფარველობდა, მეტსახელად „ზვერი“

*(მეორე გვერდიდან)*

*— შენ აქ რას წამოწოლილხარ!*
*— ჩვენ ხომ თათბირზე გელოდებით.*
*— როგორ თათბირზე? — წამოვხტი საწოლიდან.*
*— როგორ და ისე — შენ ხომ დღეს თამაშობ.*
*— ეს მე გამოვალ დღეს მინდორზე წითელ-თეთრი მაისურით? სახელგანთქმულ მოთამაშეებთან ერთად? სტაროსტინმა სავსებით ბუნებრივად ამიხსნა:*
*— შენ უკვე შეგიყვანეთ განაცხადში, ასე რომ, რა მნიშვნელობა აქვს, როდის დაიწყებ. მოდი, ეს ახლავე მოხდეს.*

ადვილი სათქმელია, „ახლავე მოხდეს“. ყმაწვილს მარტო „მე და ნეტოს“ მოახლოებული ვარიაციის შესახებ ფიქრისაგან დაუბნელდა თვალთ. გასახდელში რომ შეცბუნებისაგან მთლად წამოწითლებული შევიდა, თავიდანვე ყოვლად უხერხულად გაიხლართა მაისურში: ვერაფრით ვერ ახერხებდა საყელოში თავის გაყოფას, ბოლოს როგორც იქნა, მაისურს გაუსწორდა, მაგრამ ახლა უკვე ბუცების შეკვრამ გაუჭირვა საქმე. აკანკალებული ხელებით ზონრებს ვერ იქნა და ვერ მოუძებნა გზა. გასახდელიდან ბოლო გამოვარდა ცალ ფეხზე ხტუნვით, თან შეუკვრელ ზონარს მოათრევდა.

ტრიბუნაზე, იმ დერეფნის ახლოს, საიდანაც გუნდები მინდორზე გამოდიან, მამა იჯდა, სან სანიჩი, მაშინდელი დროისათვის კავშირში უკვე საკმაოდ ცნობილი მწვრთნელი. იგი მყისვე მიხვდა, რა სჭირდა შვილს და ეგებ შოკში ჩასაგდები, მაგრამ იმ მომენტისათვის ერთადერთი სწორი რამ გააკეთა: ღობურაზე გადაიხარა, მთელი ძალ-ღონით გაუშალა და ყველას თვალწინ გააწნა სილა ბიჭს. სილის ტყლაშუნის ხმასთან ერთად დერეფნის ექომ მეხივით ნათქვამიც აიტაცა: „კაცმა რომ შეგხედოს, ეგონება ვინმე მოუკვდაო. აბა ახლავე გამოდი და ისე ითამაშე როგორც შეგიძლია!“ ნორჩი სევიდოვი მინდორზე ბირთვული რაკეტასავით გამოფრინდა. იმ მატჩში მან გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ოთხჯერ ისე გააგორა ბურთი კარის გასწვრივ, რომ მარჯვე პარტნიორებმა ოთხივეჯერ ბადეში გაგზავნეს...

დიდებასთან პირველი შეყრის ვნებათაღელვამ ისევე მალე გაიარა, როგორც „სპარტაკის“ გასახდელში პირველი გამოჩენის შოკმა. უკვე სეზონის ბოლოს ახალმოვლენილი ვარსკვლავი ისე აღიქვამდა თავის სადარბაზოსთან შეკრებილ ბრბოს, ვითომც არაფერიაო; ხოლო შეძახილს, „პასი მოიტა, პასიო“, თანაც ისეთი კერპებისაგან, როგორიც იყვნენ ილინი, სალნიკოვი, ნეტო — უბრალოდ, რეალობად მიიჩნევდა.

„მეორე სტრელცოვიაო“, — ასე ლაპარაკობდნენ მაშინ სევიდოვზე. იყო ასეთი ერთობ ცნობილი კაცი მსოფლიო ფეხბურთში — მოსიე უკრაინჩიკი. ამ პოლონელს ოფისი ჰქონდა პარიზში, უცხოურ კლუბებს სხვადასხვაგვარ ტურნეს უწყობდა; და აი, როგორღაც თამაშის შემდეგ ჭაბუკს ავტობუსში პოლონელ-ფრანგი მოსიე მიუჯდა: „შენთან მოლაპარაკება მინდოდა“. სევიდოვმა თავაზიანად დაუქნია თავი. „რას დამჯდარხარ აქ, — მიუკიბ-მოუკიბავად დაიწყო უკრაინჩიკმა. — ის მაინც თუ გესმის, რომ დასავლეთში სამი წელიც რომ ითამაშო, უკვე მილიონერი გახდები“. ფეხბურთელი დუმდა, არ იცოდა, რა ეპასუხა. უკრაინჩიკი კი ამასობაში განაგრძობდა: „ანდერლეხტმა“ შენთან მოსალაპარაკებლად რწმუნება მომცა; თუ დარჩენას დათანხმდები, შემდ[illegible] შეგიძლია იტალიაშიც გადახვიდე, ინგლისშიც... ერთი სიტყვით, სადაც მოისურვებ“.

მათ ორი საათი ისაუბრეს, მაგრამ სევიდოვმა ვერ გაბედა დარჩენა. კავშირშიც ხომ ურიგოდ არ ცხოვრობდა; მაშინ, 60-იანი წლების დასაწყისში, როცა ყოველი უცხოური მარკის ავტომობილის ირგვლივ მოსკოვში ხალხი შემოჯარდებოდა და საათობით ათვალიერებდა ოკეანისგაღმურ საკვირველებას, იურის მდიდრული „ფორდი“ ჰყავდა. „სპარტაკი“ ბინის მიღებაში დაეხმარა... ჰყავდა მზეთუნახავი ცოლი, მეგობრები — ცნობილი მსახიობები, დიპლომატები, მხატვრები; მოკლედ, თან ახლდა ყოველგვარი ატრიბუტი, რომელთა მიხედვით ელიტას აკუთვნებდნენ, ანუ სამოთხის კარს.

უნდა ითქვას, რომ ეს ბიჭი, რომელმაც ასე ადრე იგრძნო ფეხბურთის ღმერთის ხელის ჩამორთმევა, არ იყო ამით თავგასული. უცნობ კამპანიაში თავისი გვარის დასახელებაც კი ერიდებოდა, დაიმორცხვებოდა ხოლმე, როცა სცნობდნენ. განებივრებული მისთვის ნიშნავდა: მზად არ იყო იმისათვის, რაც თავს დაატყდა.

ახლა, უკვე სიბერის ზღურბლზე, იგი წარსულს ისე იხსენებს, როგორც დაუსრულებელი და უსაზღვრო ბედნიერების დროს. ბედნიერებისა, რომელსაც ცოტა ხანს ეწერა გაგრძელება და არ ეწერა ოდესმე განმეორება; ამაზე ფიქრისას ხშირად ისიც ეძალება, თუ რატომ შეემთხვა მთელი ეს კოშმარი მაინდამაინც მას; და ჰგონია, რომ მონახა პასუხები.

***— ცხოვრებას ალბათ უყვარს გასაშუალოებული ზოლები და აჩერებს ადამიანს, თუ იგი მეტისმეტად წინ გაიჭრება; სხვადასხვანაირად აჩერებს... მე ასე გამაჩერა; თუმცა... არ ვიცი, შეიძლება არც ვიყო მართალი...***

***„არამზადავ, თუ გესმის მაინც ვინ გაიტანე?!“***

შეიძლება, არც იყოს მართალი... ოღონდ მაინც ამ ისტორიაში ბევრი რამ იყო მისტიკური. კოტელნიკოვის სანაპიროზე „სტალინურ“ მაღლივ შენობასთან ორი კაცი შეეჯახა, რომლებიც რაღაცით ერთმანეთს ჰგავდნენ.

აკადემიკოსი დმიტრი რიაბჩიკოვი ნაწილობრივ იმიტომ აღმოჩნდა იური სევიდოვის „ფორდის“ ბორბლებ ქვეშ, რომ ასევე „არ იყო მზად“ ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სიტუაციებისათვის. ბოლო ოცი წელი მას ალბათ ერთხელაც არ მოუწია ქუჩებში მარტო სიარული ან ქუჩის გადაჭრა; რამდენადაც აკადემიკოსი, როგორც იტყვიან, გასაიდუმლოებული გახლდათ, სუკელები მას დილიდან საღამომდე სდარაჯობდნენ. სამუშაოზე და სამუშაოდან რიაბჩიკოვი სამსახურებრივი ავტომანქანით დადიოდა. დიახ, მრავალი წელი აკადემიკოსმა თითქოს ბაროკამერაში იცხოვრა; და აქამდე ვერავინ შეძლო აეხსნა, თუ იმ საღამოს, 1965 წლის 18 სექტემბერს, რატომ აღმოჩნდა დმიტრი ივანოვიჩი მარტო, დაცვის გარეშე, თავისი სახლის გვერდით გზაზე, ავტომობილთა ნაკადის პირისპირ.

აკადემიკოსი დაბნეული და მოშლილი იყო. რამდენიმე საათის წინ იგი კინოში შევიდა ძველ მეგობართან ერთად. დარბაზის სიღრმეში, ბოლო რიგში მან უცბად ცოლი შენიშნა, რომელსაც ასე ოცდაათი წლის იმპოზანტური მამაკაცის ხელი ეპყრა და დაბალი ხმით ელაპარაკებოდა, თან კეკლუცად უღიმოდა. მეუღლე, მეცნიერის ყოფილი სტუდენტი, მასზე ლამის ოცდაათი წლით უმცროსი იყო. რიაბჩიკოვმა შიგნით სიცარიელე იგრძნო, სიტყვის დაუძვრელად მოქაჩა სახელო მეგობარს და ისინი სწრაფად გავიდნენ კინოთეატრიდან. იმის მიუხედავად, რომ აკადემიკოსს სუსტი გული ჰქონდა და ის-ის იყო, საავადმყოფოდან გამოეწერა, მეგობრებმა თითო სირჩა კონიაკი გადაკრეს უახლოეს კაფეში; შემდეგ რიაბჩიკოვი წამოდგა, რაღაცნაირად დაბნეულად გამოეთხოვა თანმხლებს და თქვა, რომ შინ კატერით წავა.

*— კი, ის შორიდან შევნიშნე. მოგვიანებით იმაში მადანაშაულებდნენ, რომ საშინელი სიჩქარით მივქროდი; თუმცა საკმარისი იყო ერთი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება, რომ დარწმუნებულიყვნენ — იქ, უბრალოდ, შეუძლებელი იყო საშინელი სიჩქარის განვითარება. ყველაფერი სიზმარივით მოხდა: პირდაპირ ჩემს საქარე მინას მიენარცხა და ნელ-ნელა ქვემოთ ჩაცურდა კაპოტის ჩაყოლებით...*

აკადემიკოსი ცოცხალი დარჩა, ცნობიერებაც კი არ დაუკარგავს, თეძო ჰქონდა მოტეხილი. რიაბჩიკოვი მოკვდა, როცა ფეხის ჩასმა დაუწყეს. მოკვდა, შოკისაგან, არნახული შემაძრწუნებელი ამბებისაგან, იმ დღეს რომ მრავლად შეემთხვა. შემდგომ ტროტუარზე მიმავალი ორი მოზარდი, რომელთაც ყველაფერი ნახეს, რაც მაღლივის ახლოს მოხდა, დაიწყებენ მტკიცებას, რომ აკადემიკოსი სულ სხვა ავტომანქანის ქვეშ მოჰყვა და მხოლოდ დარტყმამ შეაგდო ფეხბურთელის „ფორდზე“, ოღონდ, მათ ყურს მაინცდამაინც არავინ დაუგდებს. სევიდოვი თავადაც არ არის დარწმუნებული, რომ ბიჭუნები სიმართლეს ამბობდნენ; თუმცა არც იმაშია დარწმუნებული, რომ ცრუობდნენ. უბრალოდ, ეს ყველაფერი — რიაბჩიკოვი გზაზე, საქარე მინაზე დარტყმა, „სასწრაფოს“ გაელვება... ისე სწრაფად მოხდა, რომ ძნელი იყო რაიმე დაგეხსომებინა და რაიმე გაგეგო. უკვე ათი წუთის შემდეგ სევიდოვი მილიციის განყოფილებაში იჯდა, თავზარდაცემულს თვალებზე ხელები აეფარებინა, ახალგაზრდა ლეიტენანტი კი მხარზე უთათუნებდა: „კარგი, იურ, კარგი... დაწყნარდი... შენ არაფერში დამნაშავე არა ხარ... წადი სახლში, დაივიწყე ყველაფერი“.

„მოსკოვსკი კომსომოლეც“, №63
თარგმნა თამაზ ებანოიძემ

გაგრძელება იქნება

# პლეი-ოფამდე სულ ცოტა დარჩა

დასავლეთის კონფერენციაში რვა-ვე პლეი-ოფში გასული გუნდი გამოვლინდა, აღმოსავლეთში კი კიდევ სამი ვაკანტური ადგილია.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| *ჩიკაგო* | *59* | *17* | *77,6* |
| *მაიამი* | *53* | *23* | *69,7* |
| *ინდიანა* | *53* | *23* | *69,7* |
| *შარლოტი* | *47* | *28* | *62,7* |
| *ატლანტა* | *45* | *30* | *60,0* |
| კლივლენდი | 43 | 33 | 56,6 |
| ნიუ-იორკი | 41 | 36 | 53,2 |
| ნიუ-ჯერსი | 39 | 36 | 52,0 |
| ორლანდო | 38 | 38 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 38 | 38 | 50,0 |
| ბოსტონი | 34 | 41 | 45,3 |
| დეტროიტი | 34 | 42 | 44,7 |
| მილუოკი | 34 | 42 | 44,7 |
| ფილადელფია | 29 | 47 | 38,2 |
| ტორონტო | 15 | 60 | 20,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| *იუტა* | *57* | *18* | *76,0* |
| *სიეტლი* | *57* | *19* | *75,0* |
| *ლეიკერსი* | *55* | *20* | *73,3* |
| *სან-ანტონიო* | *52* | *24* | *68,4* |
| *ფინიქსი* | *51* | *25* | *67,1* |
| *პორტლენდი* | *43* | *33* | *56,6* |
| *მინესოტა* | *40* | *36* | *52,6* |
| *ჰიუსტონი* | *38* | *38* | *50,0* |
| საკრამენტო | 27 | 49 | 35,5 |
| დალასი | 19 | 58 | 24,7 |
| ვანკუვერი | 17 | 58 | 22,7 |
| კლიპერსი | 16 | 60 | 21,1 |
| გოლდ. სტეიტი | 16 | 60 | 21,1 |
| დენვერი | 9 | 67 | 11,8 |

**შენიშვნა:** გამოყოფილია გუნდები, რომლებიც უკვე გავიდნენ პლეი-ოფში.

# მარჩიულენისი დიპლომატი გახდა

ცნობილი კალათბურთელი შარუნას მარჩიულენისი ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით დაინიშნა ამ ქვეყნის საელჩოს განსაკუთრებული დავალებების სრულუფლებიან წარგზავნილად აშშ-ში. განსაკუთრებულ დავალებებში კი შედის ლიტვასა და აშშ-ს შორის ბიზნესის, კულტურის, სპორტის და ჰუმანიტარული კავშირების შემდგომი განვითარების პრობლემებზე მუშაობა. დავძენთ, რომ ნბა-ში თამაშის პერიოდში მარჩიულენისმა საკუთარი სახლი შეიძინა სან-დიეგოში (კალიფორნია).

# ძიება დასრულდა

უშედეგოდ დასრულდა იტალიელ აფროსანთა ძიება, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ დაემყარებინათ ახალი რეკორდი ამერიკიდან ევროპაში გადაცურვაში. ეკიპაჟი უგზოუკვლოდ დაიკარგა ატლანტიკის ოკეანეში, მას შემდეგ, რაც მამაცი მოგზაურების „იახტა" შტორმმა ამოატრიალა.

# მარჩელო რიოსი: უძლეველი არა ვარ!

**ამას სულ რამდენიმე თვის წინათ არავინ მოელოდა, ახლა კი – ბისკეინის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ 22 წლის ჩილელმა მარჩელო რიოსმა მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელის პოსტზე შეცვალა სახელგანთქმული პიტ სამპრასი. აი მისი პირველი ინტერვიუ ფინალში ანდრე აგასის დამარცხების (7:5, 6:3, 6:4) შემდეგ.**

● ***რას გრძნობთ, როცა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგბურთელი დაამარცხეთ და პირველ პრიზს დაეუფლეთ?***

– არაფერს

● ***ნერვიულობდით მატჩის წინ?***

– არა.

● ***რას ნიშნავს თქვენთვის და თქვენი ქვეყნისათვის მსოფლიოს №1 ჩოგბურთელობა?***

– ჩილეში ასეთი რანგის ჩოგბურთელი არასოდეს ყოფილა. ვფიქრობ, ეს სპორტის სხვა სახეობებსაც ეხება. ვამაყობ რომ ჩილელი ვარ, და თანაც, გარკვეული გაგებით, ერთადერთი ჩილელი.

● ***თქვენ პირველად მამამ მოგილოცათ?***

– დიახ, მას ჯორჯი ჰქვია, ინჟინერია.

● ***როგორ გაატარეთ ღამე მატჩის წინ? რაზე ფიქრობდით?***

– კარგად მეძინა. მაგრამ სანამ დავიძინებდი, ვფიქრობდი იმაზე, რომ ფინალური მატჩი მელის, უნდა ვითამაშო, როგორც შემიძლია და თუკი ვერ მოვიგებ, სულ ერთია, ყველაფერი მაინც კარგად მთავრდება.

● ***თქვენ ხედავთ, რომ ახალ მაღალ დონეზე გახვედით, მოიგეთ ტურნირი, რომელიც ყველაზე დიდად ითვლება „დიდი სლემის" შეჯიბრებების შემდეგ?***

– ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში კარგად ვთამაშობდი, შეიძლება საუკეთესოდაც. თუმცა არა ვფიქრობ, რომ ყველაზე უფრო ძლიერი და უძლეველი ვარ.

● ***ფინალური მატჩის წინ წარმოიდგინეთ როგორ წარიმართებოდა მატჩი, რამდენ სეტს ითამაშებდით?***

– ამაზე მატჩის წინ არავინ ფიქრობს. ჩემი შესაძლებლობები კი ვიცოდი, რომ კარგად ვთამაშობ და შემიძლია აგასის მოვუგო. მაშინ, როდესაც პროფესიონალთა შორის დავიწყე თამაში, იგი მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი იყო. მხედველობაში არა მაქვს აგასის მაშინდელი რეიტინგი. იმის თქმა მსურს, რომ აგასის მაშინ ყველა იცნობდა. იგი დიდი ჩოგბურთელი იყო და დღესაც ასეთად რჩება.

● ***თქვენ შ...ლოთ წარმოგედგინათ, რომ მასთან მოგიხდებოდათ შეხვედრა?***

– არა, იმ დროს არა. ზოგჯერ, როცა მის მატჩებს ვადევნებდი თვალს, ვფიქრობდი, იქნებ ოდესმე ასეთნაირადვე მეთამაშა. მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ ოდესღაც მისი მეტოქე გავხდებოდი.

● ***აპირებთ თუ არა თქვენი რეიტინგი კომერციული მიზნებისათვის გამოიყენოთ?***

– არ ვიცი. მე ხომ ეს-ესაა მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი გავხდი.

## ინფორმაცია

**პარიზ-დაკარის რალი** ● გაიმართა მეექვსე შეჯიბრება. ტუნისის რალში მოხდა ტრაგედია, რამაც სამი სპორტსმენი იმსხვერპლა. ბელგიელი პუშო და იტალიელი ადრიანი ტროპიკული ციებ-ცხელებით დაიხოცნენ, ხოლო ფრანგი ჟერარი – გულის შეტევით.

**გოლფი** ● მალე აშშ-ს შტატ ჯორჯიაში დაიწყება საერთაშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს უძლიერესი გოლფისტები. ამერიკელი თაიგერ ვუდსი ვარჯიშობს მრავალრიცხოვან დამსწრეთა თვალწინ. მისი თანამემამულე ერნი ელსიც და ავსტრიელი გრეგ ნორმანიც უკვე ჯორჯიაში არიან.

# რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი

**II ტური.** სპარტაკი – ლოკომოტივი 2-0, ბალტიკა-ჟემჩუჟინა 2-1, ურალანი – როსტსელმაში 1-3, კრილია სოვეტოვი – ალანია 2-2, ტიუმენი – დინამო 2-0, ტორპედო – ჩერნომორეცი 2-3, როტორი – შინიკი 6-2, ცსკა – ზენიტი 1-2.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| როტორი | 2 | 1 | 1 | 0 | 8-4 | 4 |
| როსტსელმაში | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| კრ. სოვეტოვი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| ალანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ბალტიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| შინიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-6 | 3 |
| ტიუმენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ტორპედო | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| ჟემჩუჟინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| ურალანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

## სპარინგ-პარტნიორების ნაკლებობას უჩივის

ამ დღეებში რუსეთის ნაკრების მწვრთნელ ბორის იგნატიევს ჰკითხეს:

– ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისათვის მზადების თვალსაზრისით საფრანგეთის ნაკრები ყველაზე სერიოზული მეტოქე იყო, ვისთანაც თამაში მოგვიხდა. ბერძნების, თურქებისა და პოლონელებისადმი პატივისცემის მიუხედავად (ამ ორ უკანასკნელთან ჯერ კიდევ მოგველის ამხანაგური მატჩები), არ შეიძლება საფრანგეთის ნაკრებთან მათი შედარება. როგორ ფიქრობთ, განა ცოტა სპარინგ-პარტნიორი არა გვყავს შესარჩევი ციკლის წინ?

– აქ კი ვერაფერს ველარ გავაწყობთ. ამხანაგური მატჩების კალენდარი დიდი ხნით ადრე დგება და ყოველთვის როდი გვაქვს უძლიერეს ნაკრებებთან შეხვედრის საშუალება. როგორც წესი, ასეთ გუნდებს ყოველი მხრიდან ეპატიჟებიან. ისინი თვით არჩევენ, ვისთან, სად და როდის ითამაშონ. თურქებისა და პოლონელების გარდა, გვაქვს შეთანხმება თბილისში საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის შესახებ.

## ახალი ამბები

● **ფეხბურთი.** ცნობილი გახდა, რომ მიუნხენის „ბაიერნის" იტალიელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი, ბოლო დროს გუნდის სუსტი თამაშის გამო, გადადგომას აპირებს. ვარაუდობენ, რომ მას, ალბათ, შეცვლის დორტმუნდის „ბორუსიის" ტექნიკური დირექტორი ოტმარ ჰიტცფელდი.

● **ველოსპორტი.** ესპანეთის ველორბოლის მორიგი ტური მოიგო იტალიელმა ალბერტო ერიმ, საერთო ჩათვლაში კი ლიდერობს ეპანელი უესტა.

● **ფორმულა-1.** კვირას ბუენოს-აირესში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი.

● **ნბა:** დეტროიტი — ვაშინგტონი 102:83, ინდიანა — ატლანტა 105:102, სიეტლი — დალასი 103:101, დენვერი — საკრამენტო 128:103, პორტლენდი — კლიპერსი 99:95, ჰიუსტონი — გოლდენ სტეიტი 93:89.







11 | 25 | 46 | 1 | 40

**თარაზულად:** 4. გერმანიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, 5. ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბი, 11. წარსულში სახელგანთქმული რუსი ძალოსანი ***(ფოტო)***, 16. წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 17. ბურთის გვერდით ხაზზე გადასვლა, 21. სათამაშო დროის მონაკვეთი, 23. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 25. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი ***(ფოტო)***, 27. ფორმულა-1-ის ცნობილი ფრანგი ვეტერანი პილოტი, 28. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 29. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონი ურუგვაელი ფეხბურთელი, 30. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელის ირვინ ჯონსონის მეტსახელი, 31. 80-იანი წლების ცნობილი ჩეხი ჩოგბურთელი, 33. 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი აშშ-ს კალათბურთელი, 35. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 38. ჭადრაკის ფიგურა, 42. ინგლისელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 43. ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ჯგუფი, 46. „ბაიერნის" და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი ***(ფოტო)***, 51. „არსენალის" ფეხბურთელი, 52. ახლო წარსულში ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი.

**შვეულად:** 1. „ბაიერნის" და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი ***(ფოტო)***, 2. ერთგვარი სპორტული შერკინება, იმართება რინგზე, 3. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 11. ბრუნი ჰაერში, 12. სპორტული ინვენტარი, 14. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 15. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 16. წარსულში დიდი საფეხბურთო მოღვაწე, 18. შეფასება ძიუდოში, 19. წარსულში ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 20. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი, 22. ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 24. წარსულში ცნობილი ჩილელი საფეხბურთო მწვრთნელი, 26. ლიბერიელი ფეხბურთელი, 32. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 34. ესპანელი ჩოგბურთელი, 36. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 37. 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი „ინდიანას" კალათბურთელი, 48. ასპარეზი, სარბიელი, 49. დანიის ნაკრების ფეხბურთელი ***(ფოტო)***, 50. „ბაიერნის" ფეხბურთელი.

**დიაგონალურად:** 4. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 6. ჭიდაობის სახეობა, 7. 80-იანი წლების ცნობილი უნგრელი თავდამსხმელი, 8. 80-იანი წლების საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 9. ბრძანება, რომლითაც მსაჯი აშორებს მოკრივეებს, 10. ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი ჰოკეისტი, 39. თავისუფალი მცველი ფეხბურთში, 40. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 41. „ატლეტიკოს" იტალიელი ფეხბურთელი, 44. 1974-78 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილე ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 45. განელი ფეხბურთელი, 47. „დორტმუნდის" ფეხბურთელი.

შეადგინა **დიმა ჯიჯელავამ** (თბილისი)



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ბერტონი, 5. მესხი, 6. რიდლე, 8. ბუფონი, 9. ნაგანო, 13. გიგზი, 14. გივენი, 15. სანაია, 17. კუჩერა, 21. რაპირა, 24. ვადორიუ, 26. ივანოვი, 28. კრანკლი, 31. „მარაკანა", 32. გაზა, 33. ჰაჯი, 34. ბესონოვი, 36. ბრანდლი, 37. არზიანი, 39. ქილმარი, 41. იგუიტა, 44. ნიმანი, 45. იკპება, 49. შვარცი, 51. ჩუხუა, 52. „იტალია", 55. სალასი, 56. აგასი, 57. კეპკე, 58. აუგუსტო. **შვეულად:** 1. არახამია, 2. კოლონეზე, 3. ბიბა, 4. ირბე, 5. მენოტი, 7. ევანსი, 8. ბობიჩი, 10. „ომონია", 11. კლეი, 12. რანი, 14. „გალათასარაი", 16. არაკისტაინი, 17. კარამბოლი, 18. ქაირზინიო, 19. მოსი, 20. ციმბალარი, 22. ალენიჩევი, 23. რონალდო, 25. ბარბოზა, 27. იაგრი, 28. კრიპა, 29. ფრე, 30. ლოუ, 35. რომე, 38. კუკოჩი, 40. მაჯერი, 42. ბეტი, 43. საკი, 46. კორიდა, 47. ბურუჩაგა, 48. კუბილასი, 50. ცოტაძე, 53. „ბაია", 54. კიკო.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. კალინინი (რუსეთი)



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
**1. მf3!**
**1. ...h3 2. მd2 მფ:h2**
**3. მფf2 მფh1 4. მf1 h2**
**5. მg3X.**

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი